



IBSU

**შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
ბიზნის მართვის ფაკულტეტი
ბიზნის ადმინისტრირების სადოქტორო პროგრამა**

**საბანკო კონცენტრაციის გავლენა ფინანსური ბაზრის
სტრუქტურაზე და კონკურენციაზე პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში**

**ილია ბოცვაძე
სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი**

თბილისი, 2018

სამეცნიერო
ხელმძღვანელი:

ქეთევან ლაფაჩი

პროფესორი, დოქტორი,
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

(ხელმძღვანელის ხელმოწერა)

ექსპერტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი მეთინ მერჯანი

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი სოფიო ხუნდაძე

ოპონენტები (სახელი, გვარი & აკადემიური წოდება):

1. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნათია კუტივაძე

2. ასოცირებული პროფესორი, დოქტორი ნინო დავითაია

3. პროფესორი, დოქტორი სვეტლანა საქსონოვა

შესავალი

აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და პოლიტიკოსები აღიარებენ და ხაზს უსვამენ ფინანსური სისტემის გამართულად და შეუფერხებლად ფუნქციონირების მნიშვნელობას ეკონომიკისთვის (Levine, 2004); (Bodie & Merton, 2005). საბანკო სექტორის სტრუქტურა დიდი ხანია წარმოადგენს მზარდი ინტერესის საგანს, რაც გამოწვეულია კონცენტრაციის არსებული ტენდენციებითა და ამ პროცესების გავლენით კონკურენციის, ეკონომიკური ეფექტიანობის, საბანკო მომგებიანობის, ფინანსურ და მაკროეკონომიკურ სტაბილურობაზე.

საბანკო ბაზრის სტრუქტურის ხარისხი, რომელიც განსაზღვრავს კონკურენციის დონეს და ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის შედეგებს იქცა „სერიოზულ სადისკუსიო თემად“. გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა გააძლიერა პოლიტიკოსების და მკვლევარების ინტერესი საბანკო კონცენტრაციის და კონკურენციის, ისევე როგორც კონკურენციის პოლიტიკასა და რეგულირების სახელმწიფო პოლიტიკის მიმართ (კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბაზრის სტრუქტურასა და კონკურენციის ხარისხზე).

არსებობს მოსაზრება, რომ კონკურენციისა და ფინანსური ინოვაციების ზრდამ, როგორცაა „subprime“ დაკრედიტება გამოიწვია ფინანსური კრიზისი. სხვები ფიქრობენ, რომ კრიზისის პერიოდში მთავრობის მიერ დიდი ბანკების მხარდაჭერამ გამოიწვია საბანკო კონცენტრაციის ზრდა, შესაბამისად შეამცირა კონკურენცია და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა და შექმნა არასტაბილურობას პერსპექტივა დაფუძნებული ე.წ. “too big to fail” ინსტიტუტებთან ასოცირებულ მორალურ რისკზე.

კონკურენცია საბანკო სისტემაში სასურველია ეფექტიანობისა და სოციალური კეთილდღეობის ასამაღლებლად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილი იქნას საბანკო სექტორის არა მარტო კონკურენტუნარიანობა, გამჭვირვალობა და ეფექტიანობა, არამედ სტაბილურობაც.

არსებული კვლევების შედეგები ხაზს უსვამს სხვადასხვა საბანკო კონცენტრაციის თეორიის არსებობას. ეს თეორიები შეიძლება იყოს კლასიფიცირებული როგორც კონცენტრაციის მომხრე და კონსერვაციის საწინააღმდეგო.

საბანკო სექტორის სტრუქტურის, კონკურენციისა და ფინანსურ სტაბილურობის ურთიერთკავშირის საკითხებზე არსებული ლიტერატურა კლასიფიცირებულია კვლევის შედეგად გამოვლენილი ორი განსხვავებული შეხედულების აბსოლუტურად წინააღმდეგობრივი დასკვნებით მიხედვით. ერთი აღნიშნავს, რომ საბანკო კონცენტრაციას აქვს დესტაბილიზაციის ეფექტი (კონცენტრაცია-მყიდველობის ან კონკურენცია-სტაბილურობის ჰიპოთეზა). საპირისპირო მოსაზრებით კი საბანკო კონცენტრაციას გააჩნია სტაბილიზაციის ეფექტი (კონცენტრაცია-სტაბილურობის ან კონკურენცია-მყიდველობის ჰიპოთეზა).

კონცენტრაცია მიუთითებს მსხვილი კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის ხარისხზე (Sathye, 2002). კონცენტრაციის დონის ზრდა შეიძლება იყოს გამოწვეული დომინანტი ფირმ(ებ)ის ზომის მნიშვნელოვნად ზრდით ან არადომინანტი ფირმ(ებ)ის გავლენის მნიშვნელოვნად შემცირებით. შესაბამისად, კონცენტრაციის დონის შემცირება შეიძლება იყოს გამოწვეული დომინანტი ფირმ(ებ)ის გავლენის მნიშვნელოვნად შემცირებით ან არადომინანტი ფირმ(ებ)ის გავლენის მნიშვნელოვნად ზრდის ხარჯზე (Athanasoglou, Brissimis, & Delis, 2005).

საბანკო სექტორის კონცენტრაციის მხარდამჭერები აცხადებენ, რომ მასშტაბის ეფექტის მიღწევის სურვილი წარმოადგენს საბანკო შერწყმებისა და შეძენის საფუძველს, რის შედეგადაც ხდება კონცენტრაციის გაზრდა. ასეთი გაზრდილი კონცენტრაცია ხელს უწყობს ეფექტიანობის გაუმჯობესებას (Demirguc-Kunt & Levine, 2000). ქვეყნების შედარებითი თეორიული ანალიზისა და კვლევის შედეგების მიხედვით, დაბალ კონცენტრირებული საბანკო სექტორი, რომელიც მოიცავს მცირე ზომის ბანკებს, გაცილებით დაუცველია ფინანსურ კრიზისის მიმართ, ვიდრე კონცენტრირებული საბანკო სექტორი რამდენიმე მსხვილი ბანკით. "კონცენტრაცია-სტაბილურობისა" და კონკურენცია-მყიდველობის" თეორიის მიხედვით, საბანკო სექტორში მაღალი კონცენტრაცია ბანკებს შორის კონკურენციის შემცირებას

გამოიწვევს და შესაბამისად ამცირებს ბანკების მიერ დამატებითი რისკის გაწევის საჭიროებებს, რის შედეგადაც მცირდება გაკოტრების რისკის ალბათობა. გარდა ამისა, ისინი ამტკიცებენ, რომ უფრო დიდ ბანკებს აქვთ უკეთესი დივერსიფიკაციის უნარი, ამიტომ რამდენიმე მსხვილი ბანკისგან შემდგარი საბანკო ბაზრები გაცილებით უფრო მდგრადია, ვიდრე საბანკო ბაზრები ბევრი მცირე ზომის ბანკით (Allen & Gale, 2004).

კონცენტრირებული საბანკო ბაზრები ძირითადად ხასიათდება მაღალი მომგებიანობით, რაც ამცირებს მთელი სისტემის სიმყიფეს. მაღალი მოგება წარმოადგენს ერთგვარ ბუფერულ მექანიზმს ეკონომიკური შოკებისა და კრიზისების მიმართ. გარდა ამისა, რამდენიმე მსხვილი ბანკის მონიტორინგი უფრო ადვილია, ვიდრე ბევრი მცირე ბანკისა და კორპორატიული კონტროლის მექანიზმი უფრო ეფექტიანი იქნება ასეთ ბანკებში, რის შედეგადაც შემცირდება სისტემური (contagion) რისკი კონცენტრირებული საბანკო სისტემის პირობებში (Beck, Demirguc-Kunt, & Levine, 2003).

საპირისპირო მოსაზრებით, საბანკო ბაზრებზე მაღალი კონცენტრაცია ზრდის ფინანსური სერვისების ფასებს მომხმარებელთათვის. კონცენტრირებულ და ნაკლებად კონკურენტულ გარემოში ბანკებში აწესებენ მაღალ საპროცენტო განაკვეთებს სესხებზე და დაბალ საპროცენტო განაკვეთებს დეპოზიტებზე, რაც იწვევს მაღალ საპროცენტო მარჟას და შესაბამისად ბანკები იღებენ მაღალ მოგებას. ასევე არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც აკავშირებს მაღალ კონცენტრაციას დაკრედიტების და ფირმების ფინანსებთან ხელმისაწვდომობის შემცირებასთან.

იმის გათვალისწინებით რომ მაღალი კონცენტრაცია აძლიერებს ბანკების ზეგავლენას ბაზარზე, ასეთ პირობები გავლენას მოახდენს საბანკო აქტივების რისკიანობაზე და გაიზრდება როგორც აქტივების სავარაუდო ამონაგები, ასევე ამ ამონაგების სტანდარტული გადახრა (Beck, Demirguc-Kunt, & Levine, 2004). ამ კონოტაციის რაციონალიზაცია ისაა, რომ მაღალი საბაზრო კონცენტრაციით გამოწვეული ბანკების გავლენა ქმნის დაბალი სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველს და შესაბამისად, მაღალი კონცენტრაცია ბაზარზე

ნამდვილად არასასურველია. გარდა ამისა, კონცენტრირებული საბანკო ბაზარის პირობებში იზრდება ბანკების მყიფეობა, დიდ ბანკების მკვეთრი წახალისებით კრიზისულ სიტუაციაში, მთავრობის მიერ მხარდაჭერილი სუბსიდიების დახმარებით, დაფუძნებული "too big to fail" პრინციპზე, რაც მცირე ზომის ბანკების შემთხვევაში არ მოქმედებს (Boyd & Runkle, 1993).

"კონცენტრაცია-მყიფეობის" შეხედულების მხარდამჭერები არ ეთანხმებიან განცხადებას, რომ უფრო დიდი ბანკების მონიტორინგი უფრო ადვილია, ვიდრე ბევრი პატარა ბანკის. ზოგადად, თუ ასეთი კონგლომერატების ზომა გამიხატება კომპლექსურობაში, მსხვილი ბანკების საქმიანობის მონიტორინგი და ზედამხედველობა გაცილებით რთულია, ვიდრე მცირე ბანკებისა. ამ ტიპის ურთიერთობა ხაზს უსვამს და იზრდება პოზიტიური კავშირი კონცენტრაციასა და მყიფეობას შორის. თეორიული შედეგები ხაზს უსვამს, რომ მსხვილი ბანკების დაფინანსების ოპერაციები უფრო ძვირია მათი მონოპოლისტური საბაზრო ძალაუფლების გამო, რაც ზრდის კაპიტალის ხარჯებს (Smith, 1998). ამრიგად, საბანკო ბაზარზე სათანადო კონკურენციის არარსებობა უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე.

პრობლემის არსი

კონცენტრაციის გავლენა ბაზრის სტრუქტურასა და საბანკო სექტორის ეფექტიანობაზე სხვადასხვაგვარი ეფექტით ხასიათდება. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფინანსური ბაზრის სტრუქტურის ძირითადი მახასიათებლებია ფინანსური შუამავლობის შედარებით დაბალი დონეა; დომინანტური საბანკო სისტემა საფინანსო სექტორში უმრავლეს ქვეყნებში განუვითარებელი კაპიტალის ბაზრების ხარჯზე და საბანკო დაწესებულებების ჩართულობა არაპროფილურ ბიზნესის საქმიანობაში, რომლებიც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს ამ ფინანსურ ბაზრებზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოპტიმალური მოდელი ჩამოყალიბდეს, რომლის მიხედვითაც ფინანსური ბაზრის ეფექტიანობა გამოიწვევს მაღალ შედეგიანობას და ეკონომიკურ

განვითარებას, დაფუძნებულს გამჭირვალეობასა და თანაბარ პირობებზე ფინანსური ბაზრის ყველა მონაწილის მიმართ.

კვლევის მიზნები

კვლევის მიზანია გამოიკვლიოს, გაზომოს და გაანალიზოს პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო ბაზრების კონცენტრაციის დონე და მისი გავლენა კონკურენციასა და ფინანსური ბაზრების სტრუქტურაზე 2013-2017 წლების პერიოდში.

კვლევის ძირითადი მიზანია ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციასა და ბაზრის სტრუქტურაზე საბანკო კონცენტრაციის გავლენის შესწავლა.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა შემდეგი საკითხების გამოკვლევა:

- როგორია პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბანკო კონცენტრაციის ხარისხი?
- როგორი კონკურენციაა პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო ბაზრებზე?
- რამდენად სტაბილურია პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო ბაზრები?
- რა გავლენას ახდენს საბანკო ბაზრის კონცენტრაცია კონკურენციაზე და ბაზრის სტრუქტურაზე პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფინანსური ბაზრებზე?
- პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბანკო კონცენტრაციის რა მაჩვენებელია მისაღები ფინანსური ბაზრების შემდგომი განვითარების ხელშეწყობისათვის?

სიახლე და აქტუალურობა

ეს თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის, სადაც ფინანსური ბაზრები ხასიათდება განუვითარებელი კაპიტალის ბაზრებითა და საბანკო სექტორის დომინირებული როლით ფინანსურ სექტორში და საბანკო დაწესებულებების ჩართულობით არაპროფილურ ბიზნეს საქმიანობაში. 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის შემდეგ დაიწყო შერწყმისა და შესყიდვების ახალი ტალღა, რასაც შედეგად მოჰყვა საბანკო სექტორებში კონცენტრაციის ხარისხის ზრდა პოსტსაბჭოთა ქვეყნებშიც. 2017 წლის მონაცემებით ქვეყნების უმრავლესობა მაღალი საბანკო კონცენტრაციის ხარისხით ხასიათდება. რაც იწვევს ბაზრის მარეგულირებლის და სხვების შეშფოთებას იმასთან დაკავშირებით თუ რა გავლენას

ახდენს ფინანსური ბაზრების კონკურენციასა და სტრუქტურაზე კონცენტრაციის ასეთი მაღალი დონე.

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, რამდენადაც რამდენიმე თვის წინ, ფინანსთა ყოფილმა მინისტრმა განაცხადა საქართველოს საბანკო ბაზრის პრობლემებზე და ქართული ბანკები დასახელა საქართველოს ეკონომიკის განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორად. ასეთ ვითარებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია შესწავლილი და გაანალიზებულ იქნეს კონცენტრაციის გავლენა საბანკო სექტორის კონკურენციასა და საბაზრო სტრუქტურაზე და სათანადო დასკვნებისა და რეკომენდაციები ჩამოყალიბება სამომავლო მიზნებისათვის.

კვლევის სიახლე მდგომარეობს ავტორის ორიგინალურ მცდელობაში გაზომოს საბანკო კონცენტრაციის დონე და მისი გავლენა ფინანსური ბაზრის სტრუქტურაზე ექვსი პოსტაბჭოთა ქვეყნის მაგალითზე, რომელთაც აქვს მსგავსი წარსული მაგრამ იმყოფებიან ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე; შეფასების და ანალიზის კომპლექსური მოდელის გამოყენება საბანკო სექტორის კონცენტრაციის, კონკურენციის და სტაბილურობის შესაფასებლად რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს ქვეყნის საბანკო ბაზრის სტრუქტურა; ბაზრების ნაკლოვანებების იდენტიფიცირება, და სხვა მსგავსი ქვეყნების ბაზრებთან შედარება; შესაძლო გადაწყვეტილებებისა და პოლიტიკის რეკომენდაციების შემუშავება მარეგულირებელი ჩარჩოს გაუმჯობესების მიზნით ფინანსური ბაზრების კონკურენტუნარიანობის, სტაბილურობის და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

პრობლემის მნიშვნელობა

საბანკო სისტემის სტრუქტურის ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია ბაზრის სტაბილურობის შემდგომი განვითარებასთან, გვაძლევს უნიკალურ შანსს თავიდან იქნას აცილებული მთელი რიგი შესაძლო საფრთხეები ეკონომიკისთვის. თუ მარეგულირებელი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საბანკო ბაზარზე კონცენტრაციისა და კონკურენციის საკითხებს, მაშინ მთლიანი ფინანსური სისტემა მსხვილი ფინანსური კონგლომერატების განვითარებისა და ამ უკანაკნელთა

მონოპოლიური საქმიანობის რისკის წინაშე დგას, ფინანსური კონკლომერატების მონოპოლიური საქმიანობა თავის მხრივ იწვევს ფინანსური ბაზრების დაბალ ეფექტიანობას, ფირმების ფინანსებთან ხელმისაწვდომობის შეზღუდვას, დაბალ სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას და რამდენიმე წლის განმავლობაში დანაკარგების თვალსაზრისით, ფინანსური ინსტიტუტები შეიძლება გადახდისუუნარონი აღმოჩნდნენ.

აქედან გამომდინარე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩამოყალიბდეს ოპტიმალური მოდელი, რომლის პირობებშიც ფინანსური ბაზრების ეფექტიანობა უზრუნველყოფს მაღალ შედეგიანობას და ეკონომიკურ განვითარებას, დაფუძნებულს გამჭირვალეობასა და თანაბარ პირობებზე ფინანსური ბაზრის ყველა მონაწილის მიმართ.

პრაქტიკული და თეორიული ღირებულება

კვლევის მნიშვნელოვანი თეორიული ღირებულება მდგომარეობს იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო ბაზრის სტრუქტურის შეფასების კომპლექსური მოდელის შერჩევასა და გამოყენებაში (კომპლექსური შეფასება: კონცენტრაცია, კონკურენცია და სტაბილურობა), რომელთაც აქვთ საერთო წარსული, მაგრამ ამჟამად ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე იმყოფებიან. შედარებითი მსგავსი ზომის ექვსი ქვეყანა შეირჩა, საიდანაც სამი ქვეყანა კვლავ ითვლება განვითარებად ქვეყნებად, ხოლო დანარჩენი სამი კი უკვე ევროკავშირის და ევრო-ზონის წევრები არიან. ამ ქვეყნების საბანკო ბაზრის სტრუქტურის ანალიზი და შესწავლა მოგვცემს საერთო სურათს ფინანსური სისტემის ხარვეზების შესახებ და საშუალებას მოგვცემს განისაზღვროს შემდგომი ქმედებები პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო ბაზრებზე გამოწვეული პრობლემების გადასაჭრელად.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება მდგომარეობს ბაზრის განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი, განსხვავებული მარეგულირებელი მექანიზმებისა და ეკონომიკური სტიმულების მქონე ექვსი პოსტსაბჭოთა ქვეყნის საბანკო სექტორის კონცენტრაციის განსაზღვრაში და ამ უკანასკნელის ფინანსური ბაზრების სტრუქტურაზე და

კონკურენციაზე გავლენის შეფასებაში. მსგავსი კვლევა არ ჩატარებულა ამ ქვეყნების კონტექსტში, არც ცალკეული ქვეყნის დონეზე, არც გარკვეულ ჯგუფებში ან ექვსი ქვეყნის საერთო ბაზარზე. ანალიზის შედეგები და სათანადოდ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები გამოსადეგი იქნება როგორც, პოლიტიკოსებისა და ბაზრის მარეგულირებლებისთვის, ასევე იმ ფინანსური ინსტიტუტების მენეჯერებისათვის და საზოგადოების ზოგიერთ წევრისთვის, გარკვეული მიზნებისა და გამოწვევების საპასუხოდ.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები

კვლევა ემპირიულია და ეფუძნება ლოგიკას და ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობითაც ობიექტური და გაზომვადი მონაცემები შეგროვდა და გაანალიზდა. არსებული თეორიების ინტენსიური და ყოვლისმომცველი მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა, განვსაზღვროთ შესაბამისი მონაცემები და რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ინსტრუმენტები და მეთოდები.

კვლევის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, ნაშრომი ეყრდნობა რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევას. კონცენტრაციის კოეფიციენტები და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი გამოყენებულია კონცენტრაციის დონის გასაზომად. კონკურენციის გაზომვისთვის გამოიყენება პანზარ და როუსის მოდელი. "H-სტატისტიკა" გამოითვლება ორ ეტაპად. პირველი ეტაპი მოიცავს რეგრესიული მოდელის ანალიზს, მთლიანი საბანკო შემოსავლების დამოკიდებულებას ბანკების საწარმოო ხარჯებზე წარმოდგენილი ლოგარითმული ფორმით. წარმოების ხარჯები გამოხატულია ანაბრების ღირებულებით (იზომება საპროცენტო ხარჯების შეფარდებით მთლიანი დეპოზიტების მოცულობასთან), პერსონალის ხარჯები (იზომება პერსონალის ხარჯების თანაფარდობით მთლიან საბანკო აქტივებთან) და აღჭურვილობისა და ფიქსირებული კაპიტალის ხარჯები (იზომება სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობით მთლიან საბანკო აქტივებთან). მეორე ეტაპზე გამოითვლება მიღებული თითოეული კოეფიციენტის ჯამი, რომელიც უჩვენებს ბაზრებზე კონკურენციის სახეობას და დონეს. Z- ინდექსი გამოიყენება

საბანკო ბაზრების სტაბილურობის დონის გაზომვისთვის. Z-ინდექსი აჩვენებს აქტივების ამონაგების (ROA) სტანდარტული საშუალო გადახრების იმ ოდენობას, რომელიც ბანკს აშორებს გაკოტრებას. Z-ის მაღალი მაჩვენებელი უფრო მაღალ საბანკო სტაბილურობას გულისხმობს. გარდა ამისა, აღწერილობითი სტატისტიკა და კორელაციური ანალიზი გამოიყენება მონაცემების სანდოობის გადამოწმების უზრუნველსაყოფად.

თვისებრივი კვლევა ძირითადად მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას, სიტუაციურ ანალიზს და ინტერვიუებს ფინანსურ სექტორის პროფესიონალებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან საბანკო სექტორის კონკურენციის დონისა და სტრუქტურის ერთიანი საერთო სურათის შესავსებად და ზუსტი რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად.

დისერტაციის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება 155 გვერდისგან, მოიცავს 3 თავს, 11 ქვე-თავს შესაბამისი დასკვნებით. ნაშრომში მოცემულია 41 ცხრილი და 45 გრაფიკი. ავტორს გამოქვეყნებული აქვს სამი სამეცნიერო სტატია, რომელიც მიემდვნა საკვლევო საკითხის სხვადასხვა ასპექტს. ყველა მათგანი შეესაბამება სადისერტაციო თემას.

დისერტაციის სტრუქტურა მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას საბანკო კონცენტრაციის, მისი ხარჯებისა და სარგებლის მნიშვნელოვან ასპექტებზე; მისი გავლენა ბაზრის სტრუქტურასა და ეფექტიანობაზე. ლიტერატურის მიმოხილვის თავის ბოლოს წინა ქვეთავში განიხილება არსებული ლიტერატურა კონცენტრაციის, კონკურენციისა და სტაბილურობის გაზომვის მეთოდებისა და მოდელების შესახებ. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა სწორი შედეგების მიღწევის თვალსაზრისით. მეორე თავში განხილულია მონაცემთა აღწერისა და კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები, რომლებიც განიხილება თვისებრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩატარებისათვის. კერძოდ, აღწერილია კონცენტრაციის, კონკურენციისა და სტაბილურობის შეფასებისათვის არსებული მონაცემები და გადამოწმებულია მათი ნამდვილობა და სანდოობა. მეთოდოლოგიის ნაწილში

წარმოდგენილია კონცენტრაციის, კონკურენციისა და სტაბილურობის ანალიზისთვის არჩეული მოდელი და გამოყენებული მეთოდები. მესამე თავი განიხილავს შედეგებს და შეფასების პროცესს, ხოლო ბოლო თავში კვლევის შედეგების საფუძველზე ჩამოყალიბებულია რეკომენდაციები. დისერტაციაში აგრეთვე მოყვანილია გამოყენებული ცხრილების, გრაფიკების და აბრევიატურების სია, ასევე წარმოდგენილია შესაბამისი დანართებიც.

ლიტერატურის მიმოხილვა

ლიტერატურა რომელიც მიმოხილავს ურთიერთკავშირს საბანკო სექტორის სტრუქტურასა, კონკურენციის ხარისხს და ფინანსურ სტაბილურობას შორის, კლასიფიცირებულია ორი განსხვავებული შეხედულების მიხედვით, რომლებიც ეფუძნება აბსოლუტურად წინააღმდეგობრივ დასკვნებს. ერთი აღნიშნავს, რომ საბანკო კონცენტრაციას აქვს დესტაბილიზაციის ეფექტი (კონცენტრაცია-მყიდვობის ან კონკურენცია-სტაბილურობის ჰიპოთეზა). საპირისპირო, კი მოისაზრებს საბანკო კონცენტრაციის სტაბილიზაციის ეფექტს (კონცენტრაცია-სტაბილურობის ან კონკურენცია-მყიდვობის ჰიპოთეზა).

ეს ორი ტენდენცია, კონცენტრაცია და კონკურენცია, როგორც ჩანს, ერთმანეთს ეწინააღმდეგება თეორიული ვარაუდის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მაღალ კონცენტრირებული ბაზარი, რომელიც შედგება საბანკო ინსტიტუტებისგან რომელთაც არასასურველი გავლენის მოხდენა შეუძლიათ ბაზარზე, ხელს უშლის თანაბარ კონკურენციას სექტორში. ერთის მხრივ, ზოგიერთი მეცნიერი აცხადებს, რომ საბანკო სექტორში მაღალი კონკურენცია იწვევს სტაბილურობის დონის შემცირებას და ზრდის საბაზრო ჩავარდნის ალბათობას. მაღალი კონკურენცია წარმოადგენს პოტენციურ წნეხს მოგების მარჟაზე, რაც აიძულებს ბანკებს მოგების გაზრდის მიზნით გასწიონ მაღალი რისკი (პოტენციურად გადაჭარბებული), რაც თავისთავად გამოიწვევს არასტაბილურობის გაზრდას. ალტერნატიული თეორიები, როგორცაა "კონკურენციის თეორია", ამტკიცებენ, რომ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, არსებობს ბაზარზე კონკურენციისა და კონცენტრაციის თანაარსებობის შესაძლებლობა. "კონკურენციის თეორია" (Baumol,

1982) გულისხმობს, რომ ფირმებმს შეძლიათ დაუყონებლივ შევიდნენ ან დატოვონ ბაზარი დამატებითი ხარჯების დაწევის გარეშე და იგივე პირობები მოქმედებს მათი კონკურენტებისთვის. ეს მახასიათებლები განსაზღვრავს "კონკურენტული ბაზრის" პირობებს, სადაც შესაძლო კონკურენტის გაჩენის საშიშროება აიძულებს ბაზარზე მოქმედ კომპანიებს დააწესონ კონკურენტული ფასები მათი პროდუქციისთვის, რაც გამორიცხავს არაკეთილსინდისიერ ქცევას მათი მხრიდან.

კონცენტრაცია და კონკურენცია; კონცენტრაცია და სტაბილურობა - ბენ ალი და სხვებმა (2015) გამოიკვლიეს და შეაფასეს საბანკო სექტორში კონცენტრაციასა და ფინანსური სტაბილურობას შორის პირდაპირი და არაპირდაპირი დამოკიდებულება, 173 განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ნიმუშის მიხედვით, რომელიც მოიცავდა 1980-2011 წლების პერიოს. შედეგები ხაზს უსვამს, რომ კონცენტრაცია პირდაპირ გავლენას არ ახდენს საბანკო და საფინანსო სისტემის სტაბილურობაზე. მიუხედავად ამისა, კონცენტრაციას დადებითი გავლენა აქვს სტაბილურობაზე გაზრდილი მომგებიანობის ხარჯზე და უარყოფით გავლენა- მაღალი საპროცენტო განაკვეთების დაწესების ძალაუფლების არხის მეშვეობით. სტაბილიზაციის მოსაზრებას ამყარებს მაღალი მომგებიანობის შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავალი რომელიც იწვევს ბანკის კაპიტალის გაზრდას. გაზრდილი კაპიტალი კი ერთგვარ ფინანსურ ბუფერს წარმოადგენს ფინანსური შოკისა და კრიზისის დროს. დესტაბილიზაციის მოდელის მიხედვით კი, საბანკო კონცენტრაცია ახდენს ფინანსურ სტაბილურობის დესტაბილიზაციას. კონცენტრირებულ საბანკო ბაზრებზე, ბანკები ფლობენ მაღალი საპროცენტო განაკვეთების დაწესების ძალაუფლებას, რაც გამოიწვევს მომხმარებელთა იმ ნაკლებად რისკიანი ნაწილის გამოთიშვას, რომელთაც გადაწყვიტეს არ ისესხონ ასეთი მაღალი პროცენტით. შესაბამისად, ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხი გაუარესდება რაც გაზრდის გაკოტრების ალბათობის გაზრდას. ქვეყნების შედარებისას შედეგები არაერთგვაროვანია. განვითარებად ქვეყნებში „კონცენტრაცია-სტაბილურობის“ ეფექტი ემთხვევა კვლევის შედეგებს და ზემოთწარმოდგენილ ლოგიკურ ახსნას, ხოლო „კონცენტრაცია-მყიდვების“ ჰიპოთეზა არ მტკიცდება განვითარებადი ქვეყნების შემთხვევაში. თუმცა ორაზროვანი და გაურკვეველი შედეგები

გამოვლინდა განვითარებულ ქვეყნების მაგალითზე. ანალიზის შედეგები მტკიცედ ადასტურებს ორივე-საბანკო კონცენტრაციის სტაბილიზაციისა და მყიდვების ეფექტის ფინანსურ სტაბილურობასთან მიმართებაში განვითარებული ქვეყნების კონტექსტში.

აქედან გამომდინარე, კონცენტრაციის პირდაპირ კონკურენციასთან დაკავშირება შეიძლება სადავო იყოს. შესაბამისად საკმაოდ რთულია ზოგადი პოლიტიკის ჩამოყალიბება და ცალსახა დასკვნების გაკეთება რადგან მაღალი კონცენტრაცია აუცილებლად არ იწვევს დაბალ კონკურენციას, იმის გათვალისწინებით, რომ პირიქით, კონკურენციამ შეიძლება გამოიწვიოს კონცენტრაციის გაზრდა. სხვადასხვა ლიტერატურის მიმოხილვის შედეგები ადასტურებენ, რომ კონცენტრაციის მაღალი დონე ხელს უწყობს საბანკო დაწესებულების მაღალი მომგებიანობას, ბანკების გავლენის ხარჯზე სესხებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთების, ხოლო დეპოზიტებზე დაბალი განაკვეთების დაწესებით რაც უზრუნველყოფს მოგების მაღალ მარჟას შეზღუდული კონკურენციის პირობებში; ამავე დროს, მაღალი მომგებიანობა წარმოადგენს ერთგვარ გარანტიას კაპიტალის ბუფერის სახით რაც, წარმოადგენს ფინანსური შოკებისა და კრიზისის დროს ერთგვარ დამცავ მექანიზმს და უზრუნველყოფს ფინანსური სისტემის სტაბილურობას. რისი შედეგიცაა დიდი ძლიერი საბანკო დაწესებულებები დივერსიფიკაციის შესაძლებლობებით და მარეგულირებლის სამუშაოს გაადვილება ასეთი დაწესებულებების მონიტორინგის თვალსაზრისით. თუმცა, მეორე მხრივ მაღალი კონცენტრაცია იწვევს ფინანსური რესურსების გამვირებას და ზღუდავს მათთან წვდომას ბაზარზე და უარყოფით გავლენას ახდენს ფინანსურ სტაბილურობაზე სასესხო პორტფელის ხარისხის გაუარესებით, რადგან კარგ ეკონომიკურ და მაღალი კონკურენციის პირობებში საბანკო დაწესებულებები გაცილებით ადვილად, მკაცრი მოთხოვნების გარეშე გასცემენ სესხებს რაც ცუდად მოქმედებს პორტფელის ხარისხზე და იზრდება გაკოტრების ალბათობა. იმავე ლოგიკის მიხედვით, ასეთი მსხვილი დაწესებულებების ყოფნა ბაზარზე ზრდის „too big to fail“ პრობლემის ალბათობას რაც ამცირებს მთლიანი სისტემის სტაბილურობას და უარყოფით გავლენას ახდენს მთელს ეკონომიკაზე და კიდევ უფრო ართულებს ასეთი კომპლექსური

კონგლომერატების ზედამხედველობას მათი შესაძლო ლობირების პირობებში. კონკურენციისა და სტაბილურობის ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო კონტრასტულია.

კონკურენცია და სტაბილურობა - აკადემიურ ლიტერატურაში ურთიერთობა კონკურენციისა და სტაბილურობის შორის ორი საპირისპირო მოსაზრების სახით არის წარმოდგენილი. პირველი ე.წ "ჩარტერული ღირებულების" ხედვაა, რომელიც კონკურენციასა და სტაბილურობას შორის უარყოფით კავშირს ამტკიცებს. მეორე კი კონკურენციის სტაბილურობაზე დადებითი გავლენის მომხრეა. ემპირიული კვლევები წარმოადგენს ორაზროვანი და კონტრასტული შედეგების სერიას, რომლის შედეგები იცვლება და დომოკიდებულია გამოკვლეული ქვეყნის სპეციფიკურობის, ასევე კვლევითი მეთოდოლოგიის, ჯგუფის და საკვლევო პერიოდის მიხედვით.

ლიტერატურის მიმოხილვის შედეგების მიხედვით, ზოგიერთი კვლევა გარკვეულ ქვეყნებში საბანკო კონკურენციასა და ფინანსურ კრიზისს შორის დადებით დამოკიდებულებას ამტკიცებს, რომელიც იხსნება "ჩარტერული ღირებულების" არხით, რომელიც მაღალი კონკურენციის დესტაბილიზაციის ეფექტზე აკეთებს აქცენტს, რომ ბანკები მაღალი კონკურენციის პირობებში კარგავენ გავლენას ბაზარზე, რაც მათ აიძულებს მეტი რისკის გაწევას, რათა კვლავ გაიზარდონ ამონაგები და დაიბრუნონ ძველი მომგებიანობა. პირიქით, ეკონომისტების, მაგ. შაეკი და სხვები (2006) კვლევების მიხედვით, მაღალი კონკურენცია საბანკო სექტორში ამცირებს კრიზისის ალბათობას. ასევე, ბერგერი და სხვები (2009) ამტკიცებენ თეორიული და ემპირიული საფუძველს "კონკურენცია-სტაბილურობის" მოსაზრების დასაბუთებისათვის, რომელშიც ნათქვამია, რომ კონკურენციის მაღალი დონე საბანკო დაწესებულებების ქცევას უფრო გამჭვირვალეს ხდის და ზრდის მათ ყურადღებას საბანკო რისკის მართვის მიმართ, რაც უზრუნველყოფს სისტემის მდგრადობას. ეკონომიკურ ლიტერატურაში ასეთი კონტრასტული დასკვნები ხელს უშლის ზუსტი რეკომენდაციების ჩამოყალიბებას.

აკადემიური ლიტერატურაში კვლავ გრძელდება დავა საბანკო სექტორში კონკურენციის, კონცენტრაციისა და სტაბილურობის

ურთიერთდამოკიდებულებაზე. „კონცენტრაცია-სტაბილურობის“ ან „კონკურენცია-მყიფეობის“ ჰიპოთეზა - ამტკიცებს დადებით დამოკიდებულებას, კონცენტრაციასა და სტაბილურობას შორის, მაგრამ კონცენტრაციასა და კონკურენციას და კონკურენციისა და სტაბილურობის უარყოფით დამოკიდებულებას. ერთის მხრივ, არსებობს მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მეტი კონკურენცია საბანკო სექტორში უფრო მეტ არასტაბილურობასა და ბაზარზე მეტ ჩავარდნასთან არის კავშირში. ეს თეორია ვარაუდობს, რომ ბანკები რომლებიც ოპერირებენ მაღალ კონცენტრირებულ ბაზარზე (ბაზარი, რომელშიც შეზღუდულია შესვლა) უზრუნველყოფს მოგების მაღალ მარჟას, რომელიც შეიძლება გახდეს ერთგვარი ბუფერი კრიზისულ პერიოდში და დემოტივატორი დამატებითი რისკის გაწევისა. მაღალი კონკურენცია, რომელიც მოგებაზე უფრო მეტ ზეწოლას ახდენს, ქმნის ერთგვარ სტიმულს ბანკებისთვის უფრო მაღალი (პოტენციურად გადაჭარბებული) რისკების გაწევისა, რაც თავისთავად იწვევს უფრო მეტ არასტაბილურობას. ეს თეორია პროგნოზირებს, რომ დერეგულაცია, რის შედეგადაც იზრდება კონკურენცია და უფრო ადვილდება ბაზარზე შესვლა, საბოლოო ჯამში იწვევს ბაზრის სტაბილურობის შემცირებას. იგი ასევე ხაზს უსვამს, რომ უფრო კონცენტრირებულმა საბანკო სისტემამ შეიძლება შეამციროს მარეგულირებლის საზედამხედველო ტვირთი, რაც ხელს უწყობს საერთო სტაბილურობას.

საპირისპირო მოსაზრებით, კონცენტრირებული საბანკო სტრუქტურა იწვევს მთლიანი სისტემის სიმყიფეს, რომელიც გამყარებულია „კონცენტრაცია-მყიფეობის“ ან „კონკურენცია-სტაბილურობის“ ჰიპოთეზით. ეს თეორია ამტკიცებს უარყოფით დამოკიდებულებას კონცენტრაციასა და სტაბილურობას, ასევე კონცენტრაციასა და კონკურენციას შორის, მაგრამ პოზიტიური დამოკიდებულებას კონკურენციასა და სტაბილურობას შორის. ასეთ გარემოში ბაზრის სიმყიფის საფუძველია ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების გაზრდის საშუალება ფირმებისთვის გასაცემ სესხებზე, რაც უარყოფითად მოქმედებს ფირმებზე და ზრდის რისკს ვადაგადაცილებული სესხების მომატების მაღალი ალბათობით, რაც გამოიწვევს ძვირადღირებულ ფინანსურ პროდუქტს და ფინანსებთან შეზღუდულ ხელმისაწვდომობას, შესაბამისად, უარყოფით გავლენას მოახდენს ეკონომიკურ პროცესებზე. გარდა ამისა,

მაღალ კონცენტრირებულ ბაზარზე დიდი კონგლომერატების არსებობა წარმოადგენს წინაპირობას გაზრდილი სისტემატური რისკის მიმართ. კონცენტრირებული ბაზრის პირობებში ასეთი დიდი კონგლომერატების სიმყარე ბაზრის მდგრადობისთვის გახდება ძალიან მნიშვნელოვანი შესაბამისად, ასეთი ბანკები მიიღებენ სუბსიდირებას “too big to fail” პოლიტიკის მეშვეობით და ამით გაიზრდება მორალური რისკის და დამატებითი რისკის ალების ალბათობა, შესაბამისად გაიზრდება საბანკო სისტემის სიმყიფე. ეს ლოგიკური ჯაჭვი ეწინააღმდეგება კონცენტრირებულ ბაზარზე დიდ კონგლომერატ ბანკებზე ინტენსიური ზედამხედველობის ნაკლებად საჭიროებას, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი ტიპის საბანკო სისტემები გვთავაზობენ პროდუქტებისა და მომსახურების ფართო სპექტრს და რაც უფრო რთული და კომპლექსურია ეს პროდუქტები, მით მეტადაა საჭირო და გართულებულია ასეთი კომპანიების ზედამხედველობა. კონკურენციის მაღალი დონე ხდის საბანკო დაწესებულებების ქცევას უფრო გამჭვირვალეს და თანმიმდევრულს რისკის მართვის თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს ფინანსური სისტემის მდგრადობას.


უკანასკნელმა გლობალურმა ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა თუ რამხელა გავლენა აქვს რეგულირებას საფინანსო ინსტიტუტების მდგრადობაზე. ძლიერი მარეგულირებელი და ინსტიტუციური ჩარჩოს მქონე ქვეყნები ფინანსურ პრობლემების მიმართ ნაკლებად არიან მიდრეკილნი. კარგად შემუშავებული მარეგულირებელი ჩარჩოს შეუძლია შეამციროს კონკურენციის პოტენციური უარყოფითი გავლენები ფინანსურ სტაბილურობაზე, ბანკების რისკის მართვის ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგი მარეგულირებელი პოლიტიკა ბანკებს ნაკლებად მოტივირებულს ხდის გადაჭარბებული რისკის გაწევის მიმართ. ამავდროულად ბაზარზე მაღალი გამჭვირვალობა და თანაბარი მოპყრობის პირობები ყველა მონაწილის მიმართ ხელს შეუწყობს სექტორის მაღალ შედეგიანობას და ეკონომიკური განვითარების მაღალ დონეს.

მეთოდოლოგია

კვლევა ემპირიულია და ის ეფუძნება ლოგიკას და ინსტრუმენტებს, რომლის მეშვეობითაც ობიექტური და გაზომვადი მონაცემები შეგროვდა და გაანალიზდა. არსებული თეორიების ინტენსიური და ყოვლისმომცველი მიმოხილვა საშუალებას გვაძლევს ჩამოვყალიბოთ საკვლევ კითხვები და ჰიპოთეზა, განვსაზღვროთ შესაბამისი მონაცემები და რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის ინსტრუმენტები და მეთოდები.

კვლევაში რაოდენობრივი მეთოდის გამოყენების საჭიროება გამოწვეული იყო რიცხვითი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზში სტატისტიკური ტესტების გამოყენებით (Saunders, Lewis, & Thornhill, 2009). ეს მოიცავდა მეთოდებსა და პროცედურებს, რამაც შესაძლებელი გახადა დასკვნების განზოგადება, ცვლადებს შორის ურთიერთდამოკიდებულების გაზომვა და ანალიზი. რაც შეეხება თვისებრივ კვლევის მეთოდოლოგიას, ის დაეხმარა კვლევას საკვლევ პრობლემის სხვადასხვა კუთხით შესწავლაში, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების შეხედულებებს და ინტერესებს.

გრაფიკი 1. მეთოდოლოგიის ჩარჩო



წყარო: შემუშავებულია მკვლევარის მიერ

თვისებრივი კვლევა იყენებს შესაბამის საშუალებებს მონაცემების შეგროვებისათვის და დეტალური შესწავლისთვის; სამეცნიერო კვლევის ინსტრუმენტებში შედიოდა სამაგიდო კვლევა, სიტუაციური ანალიზი და ინტერვიუები ფინანსური სექტორის პროფესიონალებთან და დამოუკიდებელ ექსპერტებთან საბანკო სექტორის კონკურენციის დონისა და სტრუქტურის შესახებ სრული სურათის შესავსებად და შესაბამისი რეკომენდაციების ჩამოსაყალიბებლად. თვისებრივი კვლევის მეთოდებით მიღებული მონაცემები არ იძლევა კვლევის შედეგების განზოგადების საშუალებას; თუმცა თვისებრივი ინსტრუმენტების გამოყენება სათანადოა იმის გამო, რომ ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა "... შეგროვდეს მდიდარი მონაცემები, რომელიც შეისწავლის სიტუაციის შინაარსობრივ უნიკალურობას" (Sekaran & Bougie, 2016, გვ. 29). შესაბამისად, კვლევის შედეგების განზოგადება არ იყო თვისებრივი კვლევის ძირითადი მიზანი, სპეციალისტებთან კომუნიკაცია დაეხმარა მკვლევარს კონკრეტულ შემთხვევების სიღრმისეულ შესწავლაში, გაეფართოვებინა ცოდნა საბანკო სექტორის სპეციფიკის შესახებ ზოგადად და კერძოდ საქართველოში და შეესწავლა კვლევის პრობლემები განსხვავებული კუთხითა და პერსპექტივით.

რაოდენობრივი მეთოდოლოგიის ფარგლებში კვლევაში სხვადასხვა რაოდენობრივი ინსტრუმენტები და სტატისტიკური ანალიზის მეთოდები იქნა გამოყენებული. კვლევის მიზნის მისაღწევად, კონცენტრაციისა და კონკურენციის სტრუქტურული და არასტრუქტურული გაზომვისა და შეფასების მეთოდები იქნა გამოყენებული. კონცენტრაციის შესაფასებლად სტრუქტურული მიდგომა მოიცავს სტრუქტურა-ქცევა-შედეგი (SCP) პარადიგმას, რომელიც დაკავშირებულია კონცენტრაციის კოეფიციენტებთან (CR_k) და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსთან (HHI). ხოლო კონკურენტული ქცევის არასტრუქტურული მიდგომა ეფუძნება პანზარ და როუსის მოდელს-„H-სტატისტიკას“. Z-ინდექსი კი ზომავს საბანკო სტაბილურობას. სტრუქტურული მოდელები გულისხმობენ სექტორში კონკურენციის პირდაპირ გაზომვას სხვადასხვა ფაქტორების შეფასებით, როგორცაა კონცენტრაცია და ბანკების რაოდენობა ბაზარზე, ხოლო არასტრუქტურული მოდელები შეისწავლის ბანკების რეაგირებას და ქცევას ფასის ცვლილებასთან მიმართებით. Z-ინდექსი აჩვენებს აქტივების ამონაგების (ROA) სტანდარტული გადახრების იმ რაოდენობას,

რამდენიც ბანკს აშორებს გაკოტრებას. გარდა ამისა, აღწერილობითი სტატისტიკა და კორელაციური ანალიზი გამოიყენება მონაცემების სანდოობის გადამოწმების უზრუნველსაყოფად.

საკვლევი კითხვებისა და კვლევის მეთოდების გათვალისწინებით, კვლევის მიზანია შემდეგი ჰიპოთეზის შემოწმება:

H₀: კონცენტრაციის მაღალი დონე იწვევს კონკურენციის დაბალ დონეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე;

H₁: კონცენტრაციის მაღალი დონე არ იწვევს კონკურენციის დაბალ დონეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ფინანსურ ბაზრებზე.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებში საბანკო ბაზრებზე კონცენტრაციის დონეების გაზომვის მიზნით გამოიყენება SCP ჰიპოთეზა, რომელიც ეფუძნება კონცენტრაციის კოეფიციენტებსა და ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსს (HHI). ე.წ. სტრუქტურა-ქცევა-შედეგის პარადიგმა მიიჩნევს, რომ არსებობს სტაბილური, მიზეზობრივი დამოკიდებულება საბანკო სექტორის სტრუქტურას, ფირმის ქცევასა და შედეგიანობას შორის. იგი მიიჩნევს, რომ ბაზარზე ცოტა და მსხვილი ფირმები უფრო დიდი ალბათობით ხასიათდებიან ანტიკონკურენტული ქცევით. SCP ჰიპოთეზის მიხედვით, ბანკებს აქვთ შესაძლებლობა, კონცენტრირებული ბაზრიდან მიიღონ მონოპოლიური მოგება დიდი საპროცენტო მარჟის ხარჯზე, რაც მოიაზრებს საბანკო გავლენის გამოყენებით დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების შეთავაზებას ხოლო სესხებზე უფრო მაღალი განაკვეთების დაწესებას, რაც უზრუნველყოფს მოგების მაღალ დონეს. ქცევის ეს ჩარჩო გულისხმობს კლიენტებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი ფასების დაწესების ძალაუფლებას მაღალ კონცენტრირებულ ბაზრებზე შეთანხმებული და ანტიკონკურენტული ქცევის საფუძველზე.

კონცენტრაციის კოეფიციენტების მნიშვნელობა ბაზრის სტრუქტურული მახასიათებლების იდენტიფიკაციის უნარებში მდგომარეობს. ამ მიდგომის გათვალისწინებით, საბანკო სექტორში კონცენტრაციის ხარისხი იზომება

კონცენტრაციის კოეფიციენტით (CR_k) - ბაზარზე სამი და ხუთი უმსხვილესი ბანკის აქტივების წილით. ეს კოეფიციენტები უჩვენებს სექტორის უმსხვილესი ბანკების კუმულაციური საბაზრო წილს და გამოითვლება შემდეგი განტოლების მიხედვით:

$$CR_k = \sum_{i=1}^k s_i \quad (2.1)$$

სადაც CR_k არის უმსხვილესი ბანკების კონცენტრაციის კოეფიციენტი და s_i არის ბანკის საბაზრო წილი. მეორე ასევე ხშირად გამოიყენებული კონცენტრაციის კოეფიციენტი არის ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (HHI). HHI ინდექსი ძირითადად გამოიყენება როგორც სკანერი კორპორაციული შერწყმებისა და შექმნისთვის. მოტას (2004) მიხედვით, ბაზარზე კონცენტრაციის დონე განსაზღვრავს ფირმების შერწყმის შედეგად საბაზრო ძალაუფლების გავლენის ხარისხს. აქედან გამომდინარე, არა მხოლოდ HHI-ის საწყისი მნიშვნელობა, არამედ ინდექსის შერწყმის შემდგომში ცლილებას ენიჭება დიდი მნიშვნელობა. HHI გამოითვლება ბაზარზე არსებული ყველა ბანკის წილის კვადრატების ჯამით და განისაზღვრება შემდეგი განტოლების მიხედვით:

$$HHI = \sum_{i=1}^n s_i^2 \quad (2.2)$$

კონცენტრაციის კოეფიციენტების მნიშვნელობა 0-დან 100-მდე მერყეობს. HHI ინდექსს შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელობა 10,000-მდე. HHI ითვლის ყველა ბანკის საბაზრო წილს და უმსხვილესი ბანკების წილს ანიჭებს მეტ წონას. თუ სექტორი შედგება ერთი 100%-იანი საბაზრო წილის მქონე ბანკისაგან, მაშინ HHI-ს მნიშვნელობა ექნება 10,000. მაგრამ თუ სექტორი შედგება მრავალი ბანკისაგან და ამ ბანკებს აქვთ ძალიან მცირე საბაზრო წილი, მაშინ HHI-ის მნიშვნელობა მიახლოებული იქნება ნულთან.

ძირითადი განსხვავება კონცენტრაციის კოეფიციენტსა და HHI- ინდექსს შორის არის ის, რომ HHI ითვალისწინებს ბაზარზე არსებული ყველა ბანკის საბაზრო წილს, ხოლო კონცენტრაციის კოეფიციენტი მხოლოდ წამყვანი რამდენიმე ბანკის წილს და მცირე ზომის ბანკებს მთლიანად უგულებელყოფს.

ამ კონცენტრაციის კოეფიციენტების გამოყენებით, ექვსი პოსტსაბჰოთა ქვეყნის საბანკო სექტორის კონცენტრაციის დონე გამოითვლება.

პოსტსაბჰოთა ქვეყნების საბანკო ბაზრების კონკურენციის დონისა და სტრუქტურის შეფასებისა და ანალიზისთვის კვლევაში გამოყენებულია კონკურენტული ქცევის არასტრუქტურული მოდელი. პანზარ და როუსის მოდელს (Panzar & Rosse, 1987), როგორც არასტრუქტურულ ან ქცევით მიდგომას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბანკო კონკურენციის შესწავლაში. მოდელი დაფუძნებულია მოლოდინზე, რომ ფასები ან გაყიდვები დადებით რეაგირებას მოახდენენ საწარმოო ხარჯების ზრდაზე, თუ ბაზარი სრულყოფილად კონკურენტულია; პანზარ და როუსი ამყარებს ერთგვარ სტატისტიკურ კავშირს გაყიდული პროდუქტიდან მიღებულ შემოსავლებსა და საწარმოო ხარჯების მაჩვენებლებს შორის, როგორც ინდიკატორს, რათა დადგინდეს, ბაზარზე არსებული კონკურენცია რამდენად ახლოსაა სრულყოფილ კონკურენციასთან. მიდგომის მიხედვით, საწარმოო რესურსების ფასების ცვლილება გარკვეული საბაზრო სტრუქტურის ფარგლებში საბანკო დაწესებულებებს აიძულებს მიმართონ განსხვავებულ ფასდადების სტრატეგიებს საბაზრო ძალაუფლებიდან გამომდინარე (Mensi, 2010). ამდენად, საბაზრო ძალაუფლება ფასდება საწარმოო რესურსების ფასების ცვლილების ხარისხით (როგორცაა ფულადი სახსრების, შრომისა და კაპიტალის ერთეულის ფასი) საბანკო შემოსავლებთან მიმართებაში (საპროცენტო ან მთლიანი შემოსავალი). მეთოდი ეფუძნება ზოგადი საბანკო ბაზრის მოდელს, რომელიც განსაზღვრავს ფირმების წონასწორულ რაოდენობას და პროდუქტების წონასწორულ რაოდენობას მოგების მაქსიმალიზაციის მექანიზმის საშუალებით ორივე, საბანკო და ინდუსტრიის დონეზე. პანზარ და როუსი უწოდებს კონკურენციის ამ საზომს-"H-სტატისტიკას", როგორც "შემოსავლების კოეფიციენტების ელასტიურობათა ჯამის რეგრესიულ ფუნქციას საწარმოო ფაქტორების ფასების ცვლილებასთან მიმართებაში". მათი მტკიცებით, "H-სტატისტიკა" ასახავს ბანკის ქცევას და ბაზრის სტრუქტურას.

ეს მეთოდი ითვლება უპირატესად კონკურენციის დონის შესაფასებლად ადრე გამოყენებულ მეთოდებთან შედარებით, რადგან იგი აღწერს საფინანსო

ინსტიტუტების კონკურენტულ ქცევას შედარებითი სტატისტიკური თვისებების მქონე რეგრესიულ განტოლების გამოყენებით, დაფუძნებულს ჯვარედინ მონაცემებზე. უფრო მეტიც, „H-სტატისტიკა“ ასევე ასახავს ბაზრის სხვა მონაწილეთა კონკურენტულ ქცევას და შესაბამისად, კონკურენტული ქცევის პირდაპირი საზომია.

კვლევაში გამოყენებულია სანის (2011) და კლასენსი და ლავენის (2004) მიერ შემუშავებული განტოლება, რომელიც ეფუძნება პანზარისა და როუსის (1987) მიდგომას და გამოიყენება საბანკო კონკურენციის შესაფასებლად, მკვლევართა მოდიფიკაციით, რომელიც დამოკიდებულ ცვლადად იყენებს ბანკის მთლიან შემოსავალს საპროცენტო შემოსავლის ნაცვლად.

$$\ln(R_{it}) = \alpha_0 + \beta_1 \ln(w_{1,it}) + \beta_2 \ln(w_{2,it}) + \beta_3 \ln(w_{3,it}) + \gamma_1 \ln(Y_{1,it}) + \gamma_2 \ln(Y_{2,it}) + \gamma_3 \ln(Y_{3,it}) + \varepsilon_{it} \quad (2.5)$$

სადაც, R არის მთლიანი შემოსავლების მთლიან აქტივებთან თანაფარდობა (გამოხატავს სესხებისა და სხვა მომსახურების ფასს). ცვლადი მოიცავს მთლიან საპროცენტო შემოსავალს, მომსახურებიდან შემოსავალს, საკომისიო შემოსავალს და სხვა საოპერაციო შემოსავალს. დამოკიდებულ ცვლადად მთლიანი შემოსავლის გამოყენება რომელიც მოიცავს ყველა ზემოთხსენებულ შემოსავალს ეფუძნება თანამედროვე საბანკო ინსტიტუტების სხვადასხვა ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლების მრავალფეროვნებას. W1, წარმოადგენს საბანკო დეპოზიტების ღირებულებას და გამოითვლება მთლიანი საპროცენტო ხარჯების მთლიან დეპოზიტებისა და ფულის ბაზრის დაფინანსების ინსტრუმენტებთან თანაფარდობას; W2, ეს არის პერსონალის ხარჯების მთლიან აქტივებთან თანაფარდობა, როგორც შრომის ღირებულება; W3, კი არის სხვა ოპერაციული და ადმინისტრაციული ხარჯების თანაფარდობა მთლიან აქტივებთან, რომელიც ასახავს ინვენტარისა და სხვა ფიქსირებული კაპიტალის ღირებულებას. Y1, Y2 და Y3 შესაბამისად არის მთლიანი კაპიტალის მთლიან აქტივებთან, წმინდა სესხების მთლიან აქტივებთან თანაფარდობა და მთლიანი აქტივების ღირებულება, რომლებიც გამოიყენება საბაზისო სპეციფიკური ეფექტის კონტროლის ცვლადებად; ε_{it} აღნიშნავს ბანკის დონის სპეციფიკურ ფიქსირებულ ეფექტებს. თითოეული

კოეფიციენტი (β), რომელიც გვიჩვენებს პროდუქტის ელასტიკურობას საწარმოო ფაქტორების ფასებთან მიმართებაში, გამოითვლება (1) OLS-გაერთიანებული რეგრესიით - რაც გულისხმობს მრავალფაქტორიანი რეგრესიული მოდელის გამოყენებას ჰეტეროგენურობის ან ინდივიდუალობის უგულვებელყოფით; (2) ჯვარედინი ფიქსირებული ეფექტით, რომელიც უშვებს ჰეტეროგენულობას ან ინდივიდუალობას ბანკებს შორის, რაც გამიხატება საერთო კვეთის წერტილის არსებობით. ტერმინი ჯვარედინი ფიქსირებული ეფექტი გულისხმობს, რომ ბანკებში შეიძლება განსხვავდებოდეს კვეთის წერტილი, თუმცა იგი არ იცვლება დროის განმავლობაში, რაც ნიშნავს რომ ის არის მუდმივი დროის მიხედვით; (3) ჯვარედინი შემთხვევითი ეფექტი - ყველა ბანკს აქვს ერთნაირი საშუალო მნიშვნელობა კვეთის წერტილში. ჰაუსმანის (Hausman, 1978) ტესტის საფუძველზე სტატისტიკურად მნიშვნელოვანი P მონაცემის შემთხვევაში, ფიქსირებული ეფექტის მოდელი იქნება გამოყენებული, ხოლო სხვა შემთხვევაში შემთხვევითი ეფექტის მოდელი. რეგრესიული ანალიზი ჩატარდა E-Views სტატისტიკური პროგრამის გამოყენებით.

H-სტატისტიკა, რომელიც არის (β) ელასტიკურობების ჯამი, გამოითვლება შემდეგნაირად:

$$H = \beta_1 + \beta_2 + \beta_3 \quad (2.6)$$

მიღებული შედეგების მიხედვით, თუ

$H \leq 0$, მიუთითებს მონოპოლიური წონასწორობას, სრულყოფილი ოლიგოპოლიური ან კონცეპტუალური ვარიაციების მოკლევადიანი ოლიგოპოლიას;

$H = 1$, მიუთითებს სრულყოფილი კონკურენციას;

$0 < H < 1$, მიუთითებს მონოპოლისტურ კონკურენციაზე.

პანზარ და როუსის (Panzar & Rosse, 1987) ინტერპრეტაციის მიხედვით, როდესაც "H-სტატისტიკას" აქვს უარყოფითი მნიშვნელობა ან ნულის ტოლია, კონკურენტული ბაზრის სტრუქტურა ხასიათდება მონოპოლიით, ან სრულყოფილი ოლიგოპოლიური ან კონცეპტუალური ვარიაციების მოკლევადიანი ოლიგოპოლიით. ამგვარ საბაზრო

პირობებში, საწარმოო ფაქტორების ფასების ზრდა გამოიწვევს ზღვრული ხარჯების ზრდას, შესაბამისად, შემცირდება საბოლოო წონასწორული პროდუქტი, რასაც მოჰყვება მთლიანი შემოსავლების შემცირება. "H-სტატისტიკა", მნიშვნელობით ნულსა და ერთს შორის, წარმოადგენს საბაზრო სტრუქტურას, რომელიც ხასიათდება მონოპოლისტური კონკურენციით. მონოპოლისტურად კონკურენტულ ბაზარზე ნებისმიერი ახალი ფირმის შემოსვლა გამოიწვევს "კონკურენტულ წონასწორობას". ასეთ გარემოში შემოსავლების პროცენტული ზრდა ყოველთვის ნაკლებია საწარმოო ფაქტორების ფასების პროცენტულ ზრდაზე, რადგანაც მოთხოვნა ინდივიდუალური ბანკის საბანკო პროდუქტებზე არაელასტიურია. "H-სტატისტიკა" ერთიანთან მიახლოებული მნიშვნელობით უკავშირდება საბანკო სექტორში კონკურენციის მაღალ დონეს. როდესაც "H-სტატისტიკა" მნიშვნელობაა ერთი, ბაზარი ხასიათდება სრულყოფილი კონკურენციით. ამ პირობებში საწარმოო ფაქტორებზე ფასების ნებისმიერი ზრდა გამოიწვევს ზღვრული და საშუალო ხარჯების გაზრდას გარკვეულ პირობებში, ნებისმიერი ინდივიდუალური კომპანიის წონასწორული პროდუქტების შემცირების გარეშე. მოგვიანებით ზოგიერთი არამომგებიანი ფირმის მიერ ბაზრის დატოვება, იწვევს მოთხოვნის გაზრდას თითოეული დარჩენილი ფირმის პროდუქციაზე, რაც შესაბამისად გაზრდის პროდუქციის ფასს და მთლიან შემოსავალს იმავე ოდენობით, რამდენითაც გაიზარდა ხარჯები, რადგან მოთხოვნა სრულყოფილად ელასტიურია სრულყოფილად კონკურენტულ ბაზარზე.

პანზარისა და როუსის, H-სტატისტიკის ანალიზის ჩასატარებლად დაბალანსებული პანელის ტიპის, წლიური მონაცემების 8 თანაფარდობითი, დროითი სერიის ცვლადი გამოიყენება. ეს ცვლადებია: მთლიანი შემოსავლები შეფარდებული მთლიან აქტივებთან (TR/TA), საპროცენტო ხარჯები შეფარდებული მთლიან დეპიზიტებსა და ფულის ბაზრის დაფინანსების ინსტრუმენტებთან (IntExp/TD), პერსონალის ხარჯები შეფარდებული მთლიან აქტივებთან (PersExp/TA), სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები შეფარდებული მთლიან აქტივებთან (OthOperAdmExp/TA), მთლიანი კაპიტალი შეფარდებული მთლიან აქტივებთან (TC/TA), წმინდა სესხები შეფარდებული მთლიან აქტივებთან (NetLoans/TA), მთლიანი აქტივები (TA), აქტივებიდან ამონაგები (ROA). ყველა ცვლადი

წარმოდგენილია ლოგარითმული ფორმით. იმის გამო, რომ ROA-ს შეიძლება უარყოფითი მნიშვნელობა ქონდეს, დამოკიდებული ცვლადი გამოითვლება $\text{LOG}(1 + \text{ROA}_{it})$ ფორმით.

პოსტსაბჭოთა საბანკო ბაზრების სტაბილურობის გასაზომად კვლევა იყენებს Z-ინდექსს. Z-ინდექსი აჩვენებს ROA-ს სტანდარტული გადახრების იმ რაოდენობას, რამდენიც ბანკს აშორებს გაკოტრებას. Z-ინდექსი გამოითვლება CAR და ROA თანაფარდობების ჯამის შეფარდებით ROA-ს სტანდარტული საშუალო გადახრასთან:

$$Z = \frac{\text{ROA} + \text{CAR}}{\sigma(\text{ROA})} \quad (2.7)$$

სადაც, ROA აქტივების ამონაგების მაჩვენებელია და CAR არის კაპიტალის ადეკვატურობა ან კაპიტალის აქტივებთან მიმართების კოეფიციენტი და $\sigma(\text{ROA})$ არის აქტივების ამონაგების მაჩვენებლის საშუალო სტანდარტული გადახრა მთლიანი საკვლევი პერიოდის განმავლობაში. Z-ინდექსი აჩვენებს „საშუალო სტანდარტული გადახრების იმ რაოდენობას რამდენითაც უნდა შემცირდეს მოგება რომ მთლიანად გაქვითოს კაპიტალი“ (Boyd, De Nicolo, & Jalal, 2006). Z-ის მაღალი მაჩვენებელი უფრო მაღალ საბანკო სტაბილურობას გულისხმობს, ხოლო დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს იმაზე, რომ საფრთხე ბანკი გახდეს გადახდისუუნარო მაღალია. უფრო მეტიც, უარყოფითი შემოსავლის შემთხვევაში, Z-ინდექსი შეიძლება უარყოფითი იყოს. უარყოფითი Z- ინდექსი მიუთითებს, რომ სტაბილურობა კიდევ უფრო უარესია.

მიღებული სტაბილურობის შედეგების განსამტკიცებლად და საბანკო ბაზრების სტაბილურობის ინდექსის ტრენდენციის საჩვენებლად, პროგნოზირების ტექნიკა - ექსპონენციალური კორექცია (Exponential Smoothing) გამოიყენება 2018 წლის Z-ინდექსის პროგნოზირებისთვის.

ერთი ასეთი, მოძრავი საშუალოების მეთოდი არის ექსპონენციალური კორექციის მეთოდი. ამ მეთოდის მთავარი იდეა არის ექსპონენციალური კორექციის წევრის შემოტანა პროგნოზირების ტექნიკაში, რომელიც უზრუნველყოფს ტრენდის

გათვალისწინებას. ამ მოდელში გამოყენებულია ორი მუდმივა, α და β , და ორივე ეს მაჩვენებელი უნდა იყოს 0-დან 1-მდე. პროგნოზის სანდოობის დონე კორექტირდება ჯერ α მუდმივის გამრავლებით უახლოესი წარსული პროგნოზის ცდომილებაზე და შემდგომ, შედეგის წინა პროგნოზისათვის დამატებით. ხოლო პროგნოზის ტრენდი კორექტირდება მეორე β მუდმივის ყველაზე ბოლო ტრენდის ცდომილებაზე გამრავლებით. კოეფიციენტების მაღალი მნიშვნელობა უფრო მეტ წონას მატებს ბოლო დაკვირვებებს და ამით უფრო სწრაფად პასუხობს ცვლილებებს (Render, 2012). გაანგარიშების სიზუსტე იზომება საშუალო აბსოლუტური პროცენტული ცდომილებით (MAPE) (Render, 2012). MAPE არის რეალური მნიშვნელობის პროცენტული ცდომილებების აბსოლუტური სიდიდეების არითმეტიკული საშუალო და გამოითვლება შემდეგი სახით:

$$MAPE = \frac{\sum \frac{|error|}{actual}}{n} 100\% \quad (2.13)$$

კვლევა იყენებს წლიურ მონაცემებს, რომლებიც მოპოვებული იქნა კომერციული ბანკების ვებ-გვერდებზე არსებული აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებიდან და აგრეთვე ექვსი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ცენტრალური ბანკების ვებ-გვერდებზე არსებულ სტატისტიკური წყაროებიდან. ეს ქვეყნებია: საქართველო, სომხეთი, მოლდოვა, ლატვია, ლიეტუვა და ესტონეთი. იქიდან გამომდინარე, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში მონაცემზე ხელმისაწვდომობა დიდი პრობლემაა, მიმდინარე საკვლევ მიმდინარე მონაცემები წარმოდგენილია წლიური სიხშირით.

საკვლევ საბანკო მონაცემები მოიცავს: მთლიან შემოსავალს, რომელიც შედგება: საპროცენტო შემოსავლის, მომსახურების შემოსავლის, საკომისიო შემოსავლებისა და სხვა საოპერაციო შემოსავლისაგან; მთლიან საპროცენტო ხარჯებს; პერსონალის ხარჯებს; სხვა საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების ჯამს; წმინდა შემოსავალს; წმინდა სესხებს; მთლიან დეპოზიტებს; მთლიან კაპიტალს; მთლიანს აქტივებს; აქტივებიდან ამონაგებს. ყველა საბუღალტრო მონაცემები წარმოადგენს წლის ბოლო მონაცემებს.

68 კომერციული ბანკის 2013-2017 წლების დაბალანსებული პანელის ტიპის წლიური მონაცემების ერთობლიობამ მოგვცა 340 საკვლევი მონაცემი. რეგრესიული ანალიზის ჩატარებისათვის კვლევა იყენებს პანელური ტიპის მონაცემებს. ასეთი მონაცემები საშუალებას იძლევა უკეთესად იქნეს იდენტიფიცირებული და გაზომილი ეფექტები რომელიც ვერ იქნება გამოვლენილი ჯვარედინი ან დროითი სერიის მონაცემების ცალკე გამოყენების შემთხვევაში. პანელური ტიპის მონაცემები ხელს უწყობს უფრო რთული ქცევის მოდელების შექმნას და ტესტირებას, ვიდრე ჯვარედინი ან დროითი სერიის მონაცემებია (Gujarati & Porter, 2009). ამ პარაგრაფში დახასიათებული მონაცემები გამოყენებული იქნა დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების გამოსათვლელად.

რეგრესიული მოდელების ანალიზის ჩატარებამდე აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ე.წ. მულტიკოლინეარულობის პრობლემა. მულტიკოლინეარულობა გულისხმობს, როდესაც არსებობს ორ ან მეტ დამოუკიდებელი ცვლადს შორის მაღალი კორელაცია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთი დამოუკიდებელი ცვლადი შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვა დამოუკიდებელი ცვლადის პროგნოზირებისთვის. ეს ქმნის ზედმეტ ინფორმაციას და იწვევს შედეგების დამახინჯებას და ძალიან ართულებს დამოუკიდებელი ცვლადების დამოკიდებულ ცვლადზე გავლენის სწორ შეფასებას რეგრესიულ მოდელში. გუჯარათი და პორტერის (2009) მიხედვით, თუ დამოუკიდებელ ცვლადებს შორის კორელაცია 0.8-ზე მეტია, ესეიგი არსებობს მულტიკოლინეარულობის პრობლემა მონაცემთა ბაზაში. ხოლო თუ დამოუკიდებელი ცვლადების კორელაციის კოეფიციენტი 0.8 ლარზე ნაკლებია, ყველა ეს ცვლადი შეიძლება გამოყენებული იქნას რეგრესიული მოდელის ანალიზში.

პანზარ და როუსის მოდელის ძირითადი დაშვება მოიცავს არსებული მონაცემების აუცილებლობას იმყოფებოდნენ გრძელვადიან წონასწორობაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ანალიზის ქვეშ მყოფი საბანკო დაწესებულებები საჭიროა ოპერირებდნენ გრძელვადიან წონასწორობაში. ასეთი მდგომარეობის დასადასტურებლად ჩატარდა შესაბამისი ტესტი. რეგრესიულ მოდელში დამოკიდებული ცვლადის ადგილას

გამოყენებული იქნა აქტივებიდან ამონაგები (ROA) განტოლებაში (2.5), შემდეგი ჰიპოტეზის ტესტირებით: $H_0: H=0$ აჩვენებს წონასწორობის მდომარებას, ხოლო $H_1: H<0$ აჩვენებს წონასწორობის აქ ქონას. გრძელვადიანი წონასწორობის ტესტი ჩატარდა Wald კოეფიციენტის შეზღუდვის ტესტის გამოყენებით.

შედეგები

კვლევის პროცესში განხორციელდა პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო სექტორის (2013-2017 წლებში) კონკურენციის დონისა და საბაზრო სტრუქტურის ემპირიული ანალიზი და მისი გავლენის შესწავლა სხვა ფინანსურ ბაზრებზე. კვლევა ეყრდნობოდა პანელური ტიპის მონაცემთა ბაზას, რომელიც მოიცავდა საქართველოს თორმეტ, სომხეთის თექვსმეტ, მოლდოვის თერთმეტ, ესტონეთის ცხრა, ლატვიის თორმეტ და ლიეტუვას ექვს ბანკს; ორმოცდაერთ ბანკს ქვეყნების პირველი ჯგუფის (საქართველო, სომხეთი, მოლდოვა) შემთხვევაში, ოცდაშვიდ ბანკს ქვეყნების მეორე ჯგუფის (ესტონეთი, ლატვია, ლიეტუვა) შემთხვევაში და ჯამურად სამოცდარვა ბანკს ექვსი პოსტსაბჭოთა ქვეყნის შემთხვევაში. კვლევამ აჩვენა, რომ:

ქართული საბანკო სისტემა ხასიათდება მაღალი კონცენტრაციის ხარისხით, რაც იწვევს დაბალ კონკურენციას და ბაზრის მოჩვენებით სტაბილურობას. საქართველოს საბანკო სექტორის მონოპოლისტური სტრუქტურა წარმოდგენილი ორი კონგლომერატი ბანკის სახით, რომლებიც არიან ე.წ უნივერსალური სერვის პროვაიდერები და ამავე დროს მონაწილეობენ მეორად ბიზნეს ოპერაციებში, ფაქტობრივად გამორიცხავს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობებს, ზრდის საყოველთაო და მორალურ რისკებს, ზრდის სისტემის მოწყვლადობას, აძვირებს და ზღუდავს ფინანსებთან ხელმისაწვდომობას. პრაქტიკულად, კაპიტალის ბაზარის უიმედო მგომარეობითა და ფინანსური სექტორის სუსტი მარეგულირებელი ჩარჩოთი, საქართველოს საბანკო სისტემა ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი მთავარი შემაფერხებელი ფაქტორია.

სომხეთის საბანკო სისტემა ხასიათდება დაბალი კონცენტრაციის დონით, რაც იწვევს ზომიერ კონკურენციას და ბაზრის დაბალ სტაბილურობას. სომხეთის ბანკები

მონოპოლისტური საბაზრო სტრუქტურით, ბაზარზე შესვლის ბარიერებითა და მომსახურების მაღალი საფასურით, კაპიტალის ბაზრის მონაწილეების მხრიდან სუსტი კონკურენციის გამო, დომინირებენ მთელ ფინანსურ სისტემაში. ბაზრის ასეთი სტრუქტურა ფაქტობრივად გამორიცხავს ალტერნატიული დაფინანსების წყაროებს. ასეთი "კარგი" კონკურენციის დონე ყალბია და ხელს არ უწყობს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობებს, ზრდის საყოველთაო და მორალურ რისკებს, ზრდის სისტემის მოწყვლადობას, ამცირებს და ზღუდავს ფინანსებთან ხელმისაწვდომობას. სხვადასხვა ტიპის ფინანსური ინსტიტუტების არსებობისა და ნორმალური რეგულირების ჩარჩოს მიუხედავად, სომხეთის საბანკო და საფინანსო სისტემა განიცდის ინვესტიციების და ინსტიტუციონალური ინვესტორების ნაკლებობას, რაც ხელს შეუწყობდა სომხეთის ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებული ფინანსური საქმიანობის სრულ სპექტრს.

მოლდოვას საბანკო სისტემა ხასიათდება მაღალი კონცენტრაციის დონით, რაც იწვევს დაბალ კონკურენციასა და ზომიერ საბაზრო სტაბილურობას. მოლდოვის ბანკები მონოპოლისტური საბაზრო სტრუქტურით, შესვლის ბარიერებითა და მომსახურების მაღალი საფასურით, საკრედიტო დაწესებულებებთან ერთად რომლებიც მხოლოდ საბანკო მესაკუთრეთა მცირე ჯგუფის ინტერესებს ემსახურება, დომინირებენ მთელ ფინანსურ სისტემაში. ბაზრის ასეთი სტრუქტურა ფაქტობრივად გამორიცხავს ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის პირობებს და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებს, ამცირებს საბანკო კრედიტის გაცემის მოცულობას, ზრდის საყოველთაო და მორალურ რისკებს, ზრდის სისტემის მოწყვლადობას, ამცირებს და ზღუდავს ფინანსებთან ხელმისაწვდომობას. მოლდოვას ფინანსური ბაზრის კორუფციული სტრუქტურა ეფუძნება ე.წ. „შენიღბული მფლობელების“ (UBO) მმართველობას, რომლებიც მოქმედებენ როგორც რუხი კარდინალები სისტემის მართვაში და აქვთ ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორებში ინტერესები, მათ შორის საბანკო და არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებში, წარმოადგენენ ქვეყნის საფინანსო სისტემისათვის კრიტიკულ საფრთხეს, რომელსაც ქვეყნის ეროვნული ბანკი ჯერჯერობით ეფექტურად ვერ უმკლავდება.

ესტონეთის საბანკო სისტემა ხასიათდება მაღალი კონცენტრაციის დონით, რომელიც თანაარსებობს მაღალ კონკურენციასა და ბაზრის მარალ სტაბილურობასთან. წამყვანი უმსხვილესი ბანკები წარმოადგენილნი არიან სკანდინავიური საბანკო ჯგუფების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების სახით. ესტონეთის ბანკების მონოპოლისტური საბაზრო სტრუქტურა, ძალიან დაბალი შესვლის ბარიერებითა და სეგმენტაციის მაღალი დონით ხელს უწყობს საკრედიტო პორტფელის მოცულობის ზრდას და უზრუნველყოფს ფინანსური მომსახურებისა და პროდუქტების ხელმისაწვდომ ფასებში მიწოდებას სამართლიანი კონკურენციის პირობებში. კაპიტალის ბაზრის მონაწილეებთან კონკურენცია ხელმისაწვდომს ხდის დაფინანსების ალტერნატიულ წყაროებსა და ზრდის მცირე ფირმების ფინანსებთან ხელმისაწვდომობას. მსხვილი უნივერსალური საბანკო დაწესებულებები, უცხოური კაპიტალის მაღალი წილით და ევრო-სტანდარტის რეგულირების ჩარჩოთი, ამავე დროს არიან სადაზღვევო, საინვესტიციო, საბროკერო და საპენსიო ფირმების მფლობელები, შესაბამისად აქვთ მთელს ფინანსურ სექტორში დომინანტური პოზიცია, რაც ზრდის და აადვილებს ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობას, ამცირებს საყოველთაო და მორალურ რისკებს და იწვევს ბაზრის სტაბილურობის გაზრდას. უკიდურესად მაღალი კონცენტრაციის დონისა და მსხვილი უნივერსალური პროფილის საბანკო დაწესებულებების არსებობის მიუხედავად, ბაზრის მარეგულირებლები ვერ ხედავენ სერიოზული პრობლემებს რომლებიც შეიძლება ემუქრებოდეს სამართლიანი კონკურენციის პირობებს ესტონეთის საბანკო და საფინანსო ბაზარზე.

ლატვიის საბანკო სექტორი ყველაზე დიდია ბალტიის ქვეყნებს შორის და გამოირჩევა ბაზრის მაღალი სეგმენტაციით, სადაც დომინირებენ სკანდინავიური საბანკო ჯგუფები, რომლებიც ძირითადად სხვადასხვა სახის ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ ადგილობრივ კლიენტებს, ხოლო ადგილობრივი ბანკები უმეტესწილად სპეციალიზირებულნი არიან უცხოელი კლიენტების მომსახურებაში. კონცენტრაციის ზომიერი დონე დაბალანსებულია კონკურენციის ზომიერ ხარისხით. მონოპოლისტური საბაზრო სტრუქტურა დაბალი შესვლის ბარიერებით აიძულებს ლატვიის ბანკებს კონკურენტული ფასები დააწესონ პროდუქციასა და

მომსახურებაზე სამართლიანი კონკურენციის პირობებში. კაპიტალის ბაზრის მონაწილეებთან კონკურენცია ხელმისაწვდომს ხდის დაფინანსების ალტერნატიული წყაროებსა და ზრდის მცირე ფორმების ფინანსებთან ხელმისაწვდომობას. რადგან ლატვიის საბანკო ბაზარზე დომინირებენ უცხოური საბანკო ინსტიტუტები, ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობა დაკავშირებულია სკანდინავიურ საბანკო ჯგუფების სტაბილურობასთან. სკანდინავიური ბანკებით დომინირებული ლატვიის საბანკო სისტემა არის თანამედროვე, მომგებიანი, ეფექტიანი, სტაბილური, მდგრადი კაპიტალური რესურსებით, განახლებული AML/CFT ჩარჩოთი და მკაცრი მარეგულირებელი გარემოსთან ერთად, მზად არის ხელი შეუწყოს ლატვიის ეკონომიკის გაფართოების ამბიციას.

ლიეტუვას საბანკო ბაზარი ხასიათდება კონცენტრაციის მაღიან მაღალი დონით და უცხოური კაპიტალის მაღალი წლითი მონაწილეობით. ლიეტუვას ფინანსური სისტემაში დომინირებენ ბანკები, რომლებიც ძირითადად კლიენტებს სთავაზობენ საცალო საბანკო მომსახურებას, ლიზინგს და სადაზღვევო მომსახურებას. ყველა ექვსი ლიეტუვური ბანკი წარმოადგენს საცალო მომსახურების პროფილის ბანკებს, რომლებიც არ ოპერირებენ ქვეყნისგარეთ. ევროკავშირის ბანკების ფილიალები სპეციალიზებული არიან კორპორატიული სესხების გაცემაში, ლიზინგში, ან აქვთ საცალო ბიზნეს მოდელი. ლიეტუვას საბანკო სექტორი ხასიათდება მონოპოლისტური საბაზრო სტრუქტურით, რომელიც უზრუნველყოფს კონკურენციის ზომიერ დონეს. ლიეტუვას საერთო ევროპულ სავალუტო ოჯახში გაწევრიანების შემდეგ, კონკურენციის ზრდის პირობებში, საპროცენტო განაკვეთების დერეგულირებისა და ბაზარზე დაბალი შესვლის ბარიერების დაწესებამ, ხელი შეუწყო საკრედიტო ბუმს. ლიეტუვას ფინანსურ ბაზარზე დაფინანსების პირობები არის მაღიან ხელსაყრელი, რადგანაც სესხებზე საბოლოო საპროცენტო განაკვეთები, როგორც კომპანიებისა და საწარმოებისათვის ისე საშინო მეურნეობებისთვის, ევროპის ბაზარზე რჩება ყველაზე დაბალი. სესხების მოცულობის ზრდამ და დაფინანსების ხარჯების შემცირებამ, გამოიწვია ბანკების წმინდა საპროცენტო შემოსავალის სტაბილურად გაზრდა. რაც შეეხება სხვა სექტორში საქმიანობას, საბანკო ჯგუფები ინტენსიურად არიან ჩართული კერძო

საპენსიო დანაზოგების ბაზარზე, ლიზინგის ბაზარზე და სადაზღვევო ბაზარზე, პირდაპირ ან შვილობილი კომპანიების მეშვეობით. რადგან ლიეტუვას საბანკო ბაზარზე დომინირებენ უცხოური საბანკო ინსტიტუტები, ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობა დაკავშირებულია სკანდინავიურ საბანკო ჯგუფების სტაბილურობასთან. კაპიტალის წყაროების და ფინანსური რესურსების მცირე მოცულობის მიუხედავად, ლიეტუვა უზარმაზარი ევროპულ ფინანსური ბაზრის დამსახურებული წევრია.

შედეგების ქვეყნებთა ჯგუფებზე განზოგადების თვალსაზრისით, ქართული, სომხური და მოლდავური საბანკო ბაზრები ხასიათდება მაღალი კონცენტრაციის დონით. განსაკუთრებით საქართველოსა და მოლდოვას შემთხვევაში გვაქვს ბაზრის მაღალი კონცენტრაცია, სომხეთი კი კონცენტრაციის ზომიერ დონეს გვიჩვენებს. 2013 წლიდან შეიმჩნევა კონცენტრაციის დონის ზრდა, რაც ამ ბაზრებზე მუდმივი შერწყმებისა და შეძენის გამო საბანკო დაწესებულებების რაოდენობის შემცირების ტენდენციას უკავშირდება. ბანკები გაერთიანდნენ და შექმნეს დიდი საბანკო ჯგუფები. კონცენტრაციისგან განსხვავებით, ამ სამი ქვეყნის საბანკო სექტორი ოპერირებს მონოპოლისტური საბაზრო სტრუქტურის პირობებში კონკურენციის ზომიერი ხარისხით, რაც დასტურდება შესაბამისი ინდიკატორთ (0.63). თუმცა ფაქტობრივად, ქართული და მოლდავური საბანკო ბაზრებზე კონკურენციის დაბალი დონე, სომხურ საბანკო სექტორში კონკურენციის ზომიერი დონით არის დაბალანსებული. ბანკებს აქვთ შესაძლებლობა, კონცენტრირებული ბაზრიდან მიიღონ მონოპოლიური მოგება დიდი საპროცენტო მარჟის ხარჯზე, რაც მოიაზრებს საბანკო გავლენის გამოყენებით დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების შეთავაზებას ხოლო სესხებზე უფრო მაღალი განაკვეთების დაწესებას, რაც უზრუნველყოფს მოგების მაღალ დონეს. ქვეყნის ეს ჩარჩო გულისხმობს კლიენტებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი ფასების დაწესების ძალაუფლებას, მაღალ კონცენტრირებულ ბაზრებზე შეთანხმებული და ანტიკონკურენტული ქცევის საფუძველზე. შესაბამისად რაც უფრო მაღალია კონცენტრაციის ხარისხი უფრო მეტად შეამცირებს ბაზარზე კონკურენციის დონეს. ბაზრის სტრუქტურა წარმოდგენილი მაღალი კონცენტრაციით და მცირე რაოდენობის საბანკო

ინსტიტუტებით ზრდის ბაზრის მონაწილეთა მიერ ერთობლივი ფასების კონფიგურაციის ფორმირების ალბათობას, რაც წარმოდგენილია ამ სამი ქვეყნის შემთხვევაში. საქართველოს, სომხეთისა და მოლდოვის საბანკო ბაზრები ხასიათდება სტაბილურობის დაბალი დონით. რისი მიზეზიც შეიძლება იყოს დაკავშირებული დიდი უცხოური საბანკო დაწესებულებების არყოფნაში ქართულ და სომხურ საბანკო ბაზრებზე, ხოლო მოლდოვაში საბაზრო წილის 25% აკონტროლებენ ევროპული ბანკები, რის შედეგადაც ამ ქვეყნის სტაბილურობის დონე არის საშუალო.

ბალტიის ქვეყნების საბანკო ბაზრები ხასიათდება კონცენტრაციის მაღალი ხარისხით. კონცენტრაციისგან განსხვავებით, მონოპოლისტურ საბანკო სტრუქტურაში ბანკები ოპერირებენ მაღალკონკურენტულ პირობებში. კონკურენციის ხარისხის ინდიკატორი უჩვენებს 0.91, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარი ვითარდება სრულყოფილი კონკურენციისკენ. ბალტიისპირეთის საბანკო დაწესებულებების შემოსავლები მონოპოლისტური კონკურენციის პირობებშია მოპოვებული, ასეთ მონოპოლისტურად კონკურენტულ ბაზარზე ნებისმიერი ახალი ფირმის შემოსვლა იწვევს "კონკურენტულ წონასწორობას". ასეთ გარემოში შემოსავლების პროცენტული ზრდა ყოველთვის ნაკლებია საწარმოო ფაქტორების ფასების პროცენტულ ზრდაზე, რადგანაც მოთხოვნა ინდივიდუალური ბანკის საბანკო პროდუქტებზე არაელასტიურია. მსხვილი უნივერსალური საბანკო დაწესებულებები, უცხოური კაპიტალის მაღალი წილით, მრავალი სახის ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ ბაზრის სხვადასხვა სეგმენტს და ფართო სახის პროდუქციას ადგილობრივ და საერთაშორისო კლიენტებს, ხოლო მცირე ბანკები უმეტესწილად სპეციალიზირებულნი არიან კონკრეტულ საბაზრო სეგმენტის მომსახურებაში. ასეთი მონოპოლისტური კონკურენცია ოპტიმალურია ბალტიისპირეთის საბანკო სექტორისთვის, რადგან იგი ხელს უწყობს პროდუქტის სეგმენტაციასა და დიფერენცირებას ბაზარზე. ბანკები პროდუქციას სთავაზობენ ბაზარზე ხარისხსა და მარკეტინგულ სტრატეგიებზე დაყრდნობით. ასეთი გარემო საშუალებას აძლევს ბანკებს გამოიმუშაონ უფრო მეტი მოგება თავიანთი სერვისებისა და პროდუქციის გამორჩეული თვისებებით, როგორცაა ბრენდი, ხარისხი და რეკლამა. თუმცა, საბანკო მომსახურების მაღალი ჩანაცვლების ეფექტი

ამცირებს მონოპოლისტური კონკურენციის დონეს. სკანდინავიური ბანკებით დომინირებული ბალტიისპირეთის ქვეყნების საბანკო ბაზარი არის თანამედროვე, მომგებიანი, ეფექტიანი, რეგიონში ყველაზე მყარი და საუკეთესოდ რეგულირებადი საბანკო დაწესებულებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ფინანსურ, სადაზღვევო, საბუღალტრო და იურიდიულ მომსახურებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კლიენტებისთვის კონკურენტულ და ხელმისაწვდომ ფასებში. ბალტიისპირეთის ქვეყნების საბანკო სექტორი ხასიათდება სტაბილურობის მაღალი დონით. რადგან მათ საბანკო ბაზარზე დომინირებენ უცხოური საბანკო ინსტიტუტები, ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობა დაკავშირებულია სკანდინავიურ საბანკო ჯგუფების სტაბილურობასთან. ბალტიის ბაზარზე მოქმედი ბანკები უზრუნველყოფილნი არიან კაპიტალიზაციის საკმაოდ კარგი დონით, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული ინვესტიციების დაცულობის მაღალ დონეს.

დასკვნა და რეკომენდაციები

პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო ბაზრები ხასიათდება მაღალი კონცენტრაციით. თუმცა კონცენტრაციის დონეს აქვს სხვადასხვა ეფექტი ქვეყნების მიხედვით. განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა: საქართველო, სომხეთი და მოლდოვა, მაღალი კონცენტრაცია (განსაკუთრებით საქართველო და მოლდოვა ხასიათდება მაღალი კონცენტრაციით, სომხეთი კი კონცენტრაციის საშუალო დონეს აჩვენებს) დაბალი ან ზომიერი კონკურენციის დონეებს გულისხმობს და კონცენტრაციასა და სტაბილურობას შორის არის უარყოფითი ურთერთდამოკიდებულება, რაც იმას ნიშნავს, რომ მაღალი კონცენტრაცია ამ საბანკო ბაზრების დაბალ სტაბილურობას იწვევს. საპირისპირო სიტუაციაა ევროკავშირის წევრ ბალტიისპირეთის ქვეყნების ბაზრებზე. ესტონეთის, ლატვიასა და ლიეტუვას საბანკო ბაზარზე კონცენტრაციის მაღალი დონე თანაარსებობს კონკურენციის მაღალ (ესტონეთში) და ზომიერ დონეებთან (ლატვიასა და ლიეტუვაში). კონცენტრაციასა და სტაბილურობას შორის ურთერთდამოკიდებულება დადებითია, რაც უზრუნველყოფს ბალტიის ქვეყნების საბანკო დაწესებულებების მაღალი სტაბილურობას მაღალ კონცენტრირებული საბაზრო სტრუქტურის პირობებში.

კონცენტრაციისგან განსხვავებით, ექვსი პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო სექტორი ოპერირებს მონოპოლისტური საბაზრო სტრუქტურის პირობებში კონკურენციის ზომიერი ხარისხით, რაც დასტურდება შესაბამისი ინდიკატორით (0.55). სინამდვილეში ბალტიის საბანკო ბაზარზე არსებული კონკურენციის მაღალი დონე (კონკურენციის ხარისხის ინდიკატორი უჭვენებს 0.91, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ბაზარი ვითარდება სრულყოფილი კონკურენციისკენ), საქართველოს, სომხეთისა და მოლდოვის საბანკო სექტორზე არსებული კონკურენციის დაბალი დონით არის დაბალანსებული (0.63).

პოსტსაბჭოთა ქვეყნების საბანკო ბაზრების მცირე მოცულობა განსაზღვრავს ქვეყნების სტაბილურობას, რომლებიც დაკავშირებულია დამატებით კაპიტალის წყაროების შესაძლებლობებთან. საქართველოს, სომხეთისა და მოლდოვის საბანკო ბაზრები ხასიათდება სტაბილურობის დაბალი დონით, რაც დაკავშირებულია დიდი უცხოური საბანკო დაწესებულების არყოფნაში ქართულ და სომხურ საბანკო ბაზრებზე, ხოლო მოლდოვაში საბაზრო წილის 25% აკონტროლებს დასავლური ბანკები, რის შედეგადაც ამ ქვეყნის სტაბილურობის დონე არის ზომიერი. ბალტიისპირეთის ქვეყნების საბანკო სექტორი ხასიათდება სტაბილურობის მაღალი დონით. რადგან მათ საბანკო ბაზარზე დომინირებენ უცხოური საბანკო ინსტიტუტები, ქვეყნის საბანკო სისტემის სტაბილურობა დაკავშირებულია სკანდინავიურ საბანკო ჯგუფების სტაბილურობასთან, რომლებიც ფლობენ უზარმაზარ რესურსებს.

ბანკებს საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში აქვთ შესაძლებლობა, კონცენტრირებული ბაზრიდან მიიღონ მონოპოლიური მოგება დიდი საპროცენტო მარჟის ხარჯზე, რაც მოიაზრებს საბანკო გავლენის გამოყენებით დეპოზიტებზე დაბალი საპროცენტო განაკვეთების შეთავაზებას ხოლო სესხებზე უფრო მაღალი განაკვეთების დაწესებას, რაც უზრუნველყოფს მოგების მაღალ დონეს. ქვეყნის ეს ჩარჩო გულისხმობს კლიენტებისათვის ნაკლებად ხელსაყრელი ფასების დაწესების ძალაუფლებას მაღალ კონცენტრირებულ ბაზრებზე შეთანხმებული და არაკონკურენტული ქვეყნის საფუძველზე. ბაზარი წარმოდგენილი რამდენიმე

მსხვილი ბანკით, რომლებიც სთავაზობენ მსგავს სერვისებს და აქვთ შეთანხმებული ფასდადების სტრატეგია, აიძულებს სხვა საბანკო დაწესებულებებს მიყვნენ ლიდერების სტრატეგიას და ცდილობენ თავიანთი პროდუქციის დიფერენცირებას ბაზარზე არსებობის შენარჩუნებლად. ამ ქვეყნების ფინანსური ბაზრის სტრუქტურა და კონკურენციის დონე იწვევს ფინანსური პროდუქტების მაღალ ფასებს და ფინანსების წყაროებთან დაბალ ხელმისაწვდომობას.

საპირისპირო სიტუაციაა მონოპოლისტურად კონკურენტული ბალტიისპირეთის ფინანსურ ბაზარზე, რომელიც ეფუძნება "კონკურენტულ წონასწორობას" და მიდრეკილია მაღალი სეგმენტაციისა და პროდუქტის დიფერენცირებისაკენ. ბანკები პროდუქციას სთავაზობენ ბაზარზე ხარისხსა და მარკეტინგულ სტრატეგიებზე დაყრდნობით. ასეთი გარემო საშუალებას აძლევს ბანკებს გამოიმუშაონ უფრო მეტი მოგება თავიანთი სერვისებისა და პროდუქციის გამორჩეული თვისებებით, როგორცაა ბრენდი, ხარისხი და რეკლამა. თუმცა, საბანკო მომსახურების მაღალი ჩანაცვლების ეფექტი ამცირებს მონოპოლისტური კონკურენციის დონეს. მსხვილი უნივერსალური საბანკო დაწესებულებები, უცხოური კაპიტალის მაღალი წილით, მრავალი სახის ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ ბაზრის სხვადასხვა სეგმენტს და ფართო სახის პროდუქციას ადგილობრივ და საერთაშორისო კლიენტებს, ხოლო მცირე ბანკები უმეტესწილად სპეციალიზირებულნი არიან კონკრეტულ საბაზრო სეგმენტის მომსახურებაში. სკანდინავიური ბანკებით დომინირებული ევროკავშირის წევრი ბალტიისპირეთის ქვეყნების საბანკო ბაზარი არის თანამედროვე, ეფექტიანი, რეგიონში ყველაზე გამჭირვალე და საუკეთესოდ რეგულირებული საბანკო დაწესებულებებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მომსახურებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო კლიენტებისთვის კონკურენტულ და ხელმისაწვდომ ფასებში შეთავაზებას.

აღნიშნული ექვსი პოსტსაბჭოთა ქვეყნის ფინანსური ბაზრები არიან დომინირებული ბანკების მიერ, ხასიათდებიან მონოპოლისტური საბანკო სტრუქტურით, რამდენიმე წამყვანი უნივერსალური პროფილის საბანკო დაწესებულებებით, რომლებიც დომინირებენ არ მარტო საბანკო სექტორში, არამედ მთელი ფინანსურ ბაზარზე.

ყველა ქვეყანაში მსხვილი ბანკები ოპერირებენ მონოპოლისტური კონკურენციის პირობებში და არიან კონგლომერატები, რომელთაც გავლენა აქვთ კონკურენციის დონესა და ბაზრის სტრუქტურაზე სხვა ფინანსურ ბაზრებზე. ნათელი მაგალითია საქართველო, სადაც ორი მსხვილი ბანკი სარგებლობს სადაზღვევო და კაპიტალის ბაზრებზე დომინირებული პოზიციით და ასევე ჩართულია არაპროფილურ ბიზნესში.

საბანკო და ფინანსურ ბაზრებზე დაბალი კონკურენცია, გამოწვეული საბანკო კონცენტრაციის გავლენით წარმოადგენს საერთო და ძირითად საფრთხეს ბაზრის სტაბილურობისა და შემდგომი განვითარებისათვის. საერთაშორისო ორგანიზაციების აზრით, ასეთ ქვეყნებში საბანკო ბაზარზე ძირითადი პრობლემების გადაჭრისთვის საჭიროა ინსტიტუციონალური გარემოს გაუმჯობესება. ქვეყნის ინსტიტუციური ჩარჩო არის საბანკო კონკურენციის ძირითადი განმსაზღვრელი. ამისათვის ბაზარზე ყველა ბანკი უნდა სარგებლობდეს თანაბრი პირობებით და თავიდან უნდა იქნას აცილებული რომელიმე მათგანისთვის პრივილეგიების მინიჭება, რამაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს საბანკო ბაზრებზე გამჭვირვალობას. გონივრული რეგულირება, რომელიც ხშირად მოიცავს ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კონკურენტულ კლიმატს. გარდა ამისა, მარეგულირებელების და პოლიტიკოსების კომუნიკაცია უნდა იყოს გამჭვირვალე და დროული საბანკო სისტემის სათანადო ფუნქციონირებისათვის.

რეკომენდაციები:

კონცენტრაციის დადებითი და უარყოფითი ეფექტების გათვალისწინებით, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რეგულირების ისეთი მოდელის შერჩევა რომელშიც რეალიზებული იქნება კონცენტრაციის “სიკეთეები“ და იმავდროულად, თავიდან იქნება აცილებული კონცენტრაციის თანმდევი/პოტენციური პრობლემები. განსაკუთრებული ამოცანაა კონკურენციის ისეთი დონის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს სტაბილურობას და ბაზარზე არადისკრიმინაციული საქმიანობის პირობებს.

ის ფაქტი, რომ საბანკო სექტორში კონცენტრაციის გაძლიერება ძირითადად შერწყმებისა და შეძენების გზით მიიღწევა, ზრდის ამ პროცესებზე მონიტორინგის და წინასწარი სახელმწიფო კონტროლის აქტუალობას. იმის გათვალისწინებით, რომ საბაზრო ძალაუფლების კონცენტრაციის მიღწევა და გამოყენება შესაძლოა სრულიად კანონიერი გზითაც, მარეგულირებლები და პოლიტიკოსები ფრთხილად უნდა მოეკიდონ კონცენტრაციის კონტროლის საკითხებს და იპოვონ ის მიჯნა, რომელიც ხელს არ შეუშლის ზემოხსენებული სიკეთეების რეალიზებას და იმავედროულად არ დაუშვებს საბანკო სტრუქტურების მიერ მათი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას (უზრუნველყოფს პრევენციას). ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ეფექტური რეგულირების პირობებში ძალაუფლების კონცენტრაცია ამა თუ იმ ეკონომიკური აგენტის ხელში არ ქმნის მისი ბოროტად გამოყენების საშუალებას და არაკონკურენტული ქცევის საფუძველს.

კვლევებით დასტურდება რომ ბაზრის სტრუქტურაზე ზემოქმედების თვალსაზრისით კონცენტრაციასთან შედარებით მეტი საფრთხის შემცველია საბანკო და არასაბანკო სერვისების თავმოყრა ერთსა და იმავე სტრუქტურებში, რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის საბანკო კონგლომერატების გავლენის გაძლიერებისათვის არასაბანკო სექტორებშიც და, შესაბამისად, საფრთხეს წარმოადგენს კონკურენციისთვის. საქართველოს საბანკო სექტორის კონსოლიდაციის ხარისხი ამის კარგი მაგალითია, რაც დასტურდება სტატისტიკითაც, ქეისებითაც და ინტერვიუებითაც. დღეისათვის საბანკო სექტორის დომინანტი ბანკები იმავედროულად დომინირებენ (მათი შვილობილი კომპანიების მეშვეობით) არაერთ მომიჯნავე სექტორებშიც (დაზღვევა, საინვესტიციო საბანკო საქმიანობა), რაც ნოყიერ ნიადაგს ქმნის ინტერესთა კონფლიქტებისათვის და უარყოფითად აისახება კონკურენციაზე არა მხოლოდ საბანკო, არამედ სხვა საფინანსო სექტორებშიც. ამრიგად, საბანკო ბაზარზე სამართლიანი კონკურენციის ნაკლებობა და სხვა ბაზრებზე მისი გავრცელების ეფექტი უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკურ განვითარებაზე.

საბანკო სექტორში კონკურენტუნარიანი გარემოს უზრუნველსაყოფად და ზოგადად საფინანსო ბაზრების შემდგომ განვითარებისათვის რეკომენდირებულია:

1. მარეგულირებელი ჩარჩოს კრიტიკული შეფასება კონკურენციის პოლიტიკის როლის გათვალისწინებით (პრუდენციული რეგულირება კოორდინაციაში უნდა იყოს კონკურენციის პოლიტიკასთან); შემუშავდეს/შეიქმნას საბანკო რეგულირების ახალი ინსტიტუციონალური ჩარჩო, რომელიც გააერთიანებს პრუდენციულ რეგულაციას კონკურენციის ძლიერ პოლიტიკასთან.

2. სხვადასხვა ტიპის ანალიზი ამტკიცებს, რომ ფინანსურ ბაზრებზე კონკურენციისა და საბაზრო სტრუქტურის ძირითადი პრობლემა არის არა საბანკო კონცენტრაციის დონე, არამედ კონგლომერატული შერწყმები, შეძენები და სხვა სახის კონსოლიდაცია, განსაკუთრებით კი დომინანტი საბანკო ინსტიტუტების მონაწილეობით; ჩვეულებრივი პრაქტიკაა, რომ მსხვილი საბანკო დაწესებულებები უშუალოდ ან არაპირდაპირ მონაწილეობენ სხვადასხვა არასაბანკო საფინანსო საქმიანობაში და დომინირებენ შესაბამისი ბაზრების სეგმენტებში (საქართველოს ბანკის 100%-იანი შვილობილი კომპანიები დომინირებენ სადაზღვევო, კაპიტალსა და სხვა ბაზრებზე საქართველოში). თანამედროვე პორიბებში ფინანსური კონგლომერატები და მათი პოტენციური ანტიკონკურენტული ქმედებები იქცა რთულ გამოწვევად. რეგულირების არსებული მოდელი ვერ უზრუნველყოფს და ეფექტურად არ რეაგირებს კონკურენციის არსებულ და პოტენციურ პრობლემებზე. პრუდენციული რეგულირება, რომელიც ხშირად მოიცავს ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ელემენტებსაც, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს კონკურენტულ კლიმატს დარგში, მაგრამ აშკარად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ აღკვეთოს კონკურენციის საწინააღმდეგო ეფექტის მქონე შერწყმები და დომინანტი კომპანიების მიერ მდგომარეობის ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

3. აქედან გამომდინარე, აუცილებელია: ზოგადი კონკურენციის პოლიტიკის გავრცელება საბანკო და არასაბანკო საფინანსო ინსტიტუტებზე; საბანკო რეგულირების ოპტიმალური მოდელის განსაზღვრა და პრუდენციული რეგულირების კომბინირება ზოგად კონკურენციის პოლიტიკასთან ფინანსური სექტორისთვის, რათა აღკვეთილი იქნას ანტიკონკურენციული შერწყმები და

თავიდან იქნას აცილებული ბაზრის მონაწილეთა ყველა ტიპის ანტიკონკურენტული ქცევა.

4. უნდა შეიქმნას და განხორციელდეს შერწყმის ეფექტური კონტროლის სისტემა. კონკურენციის ზოგადი კანონის აღსრულებაზე უფლებამოსილი სააგენტოს როლი უნდა გავრცელდეს საფინანსო ინსტიტუტების მიერ ან მონაწილეობით განხორციელებული შერწყმის კონტროლზე. კონკურენციის სააგენტოს უნდა გააჩნდეს პოტენციურად ანტიკონკურენტული შერწყმის გამოძიების უფლება, რათა შეამციროს ან აღმოფხვრას ასეთი შერწყმის ნებისმიერი ანტიკონკურენტული ეფექტი. ზოგადი მიზნები უნდა ითვალისწინებდეს შერწყმის კონტროლის მექანიზმის იმგვარად გამოყენებას რომ ეს პროცესი პასუხობდეს საბანკო სისტემის ფინანსური სტაბილურობის მოთხოვნებს და იმავდროულად უზრუნველყოფდეს ანტიკონკურენციული ქმედებების პრევენციას ყველა ფინანსურ ბაზარზე.

5. კონგლომერატული შერწყმები სერიოზულ ზეგავლენას ახდენს დაკავშირებული ბაზრის სტრუქტურებზე (არა მარტო ფინანსურ ბაზრებზე), ამიტომ მარეგულირებელმა ინსტიტუტებმა უნდა განიხილონ შემოთავაზებული შერწყმის ყველა ასპექტი და განახორციელონ მისი ანტიკონკურენტული ეფექტის შეფასება, მიზნების ფართო სპექტრის (და არა მარტო ფინანსურ სტაბილურობის მიზნის) გათვალისწინებით.

6. უნდა მოხდეს შერწყმების წინასწარი კონტროლის პროცედურების შემუშავება და იმპლემენტაცია, რათა თავიდან აცილებული იქნას ისეთი შერწყმები, რომელიც გამოიწვევს: ა) მოცემულ ბაზარზე კონკურენციის მნიშვნელოვან შემცირებას; ბ) დომინანტური პოზიციის შექმნას ან განმტკიცებას; გ) კონკურენციის თავიდან აცილებას, შეზღუდვას ან აღკვეთას.

7. ბიუროკრატიული ტვირთისა და გაუმართლებელი/დაუსაბუთებელი ადმინისტრაციული ხარჯების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ყურადღების გამახვილება მხოლოდ ზემოაღნიშნული პოტენციურად ანტიკონკურენტული

ეფექტის მქონე შერწყმებსა და შექმნებზე. შესაბამისად უნდა დაწესდეს/დადგინდეს შერწყმების წინასწარი კონტროლის ზღვრული ნორმები და პროცედურები.

8. განსხვავებული პოლიტიკის მიზნებს შორის ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია კონკურენციის პოლიტიკის განხორციელებაზე უფლებამოსილ და პრუდენციული კონტროლის განმახორციელებელი ორგანოების პასუხისმგებლობების მკვეთრად გამიჯვნა და კარგად განსაზღვრული ამოცანების ჩამოყალიბება. უფლებამოსილებების გამიჯვნასთან ერთად, აუცილებელია აღსრულების პროცესში ეფექტიანი თანამშრომლობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ განაპირობებს პრუდენციური მარეგულირებლისა და კონკურენციის სააგენტოს ურთიერთშემავსებელი გამოცდილების უკეთ გამოყენებას.

9. შერწყმების პოლიტიკა უნდა უზრუნველყოფდეს კონკურენციის ოპტიმალურ ხარისხს. მიზანშეწონილია კონცენტრაციის დონე შემცირდეს და არ აღემატებოდეს 50%-ს 3 წამყვანი ბანკის შემთხვევაში და 70%-ს 5 ბანკის შემთხვევაში. HHI ინდექსის მნიშვნელობა უნდა შემცირდეს „არაკონცენტრირებულ“ დონემდე. მეორე მხრივ, საბაზრო წილის ზრდა, რომელიც იწვევს ბაზრის კონცენტრაციის შემდგომ ზრდას, შესაძლოა იყოს შედეგი ეკონომიკური აგენტების სავსებით კონკურენტული ქცევისა და წარმატებული კონკურენტული საბაზრო სტრატეგიის გამოყენებისა. დადასტურებულია, რომ კონკურენტულ ბაზრებზე მაღალი კონცენტრაცია შეიძლება თანაარსებობდეს კონკურენციის მაღალ დონესთან (რაც შეიძლება აიხსნას საბანკო სექტორის მახასიათებლებით და კერძოდ პროდუქტის დივერსიფიკაციით). ესტონეთის საბანკო ბაზარი ამის ნათელი მაგალითია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ კონცენტრაციის დონის პირდაპირი შეზღუდვა მხოლოდ საბაზრო წილის ტესტის გამოყენებით გონივრული არ იქნებოდა. რაც შეეხება კონკურენტულ ბაზრებზე კონცენტრაციის ოპტიმალურ / სასურველ დონეს, ჩვენ არ ვთვლით მიზანშეწონილად რომ დაწესდეს კონცენტრაციის მაქსიმალური დონე, ან სხვაგვარად შეიზღუდოს საბაზრო წილი (აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით საბაზრო წილი არის არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი იმ

კრიტერიუმებიდან რომლითაც შეიძლება განისაზღვროს ფირმის დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე და დომინირებუა კი თავისთავად არ ნიშნავს არაკანონიერს), რომელიც შეიძლება იყოს ლეგიტიმური კონკურენტული ქცევის შედეგი.

10. კონკურენციის კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებისა და ეფექტიანი განხორციელების უზრუნველსაყოფად აუცილებელია შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები. საქართველოს შემთხვევაში, ის მოიცავს ცვლილებებს, რომლებიც მიზნად ისახავს: ა) კონკურენციის კანონმდებლობის გავრცელების სფეროს გაფართოვებას ყველა პროდუქტისა და მომსახურების ბაზრებზე, მათ შორის ფინანსურ ბაზრებზე; ბ) კომერციულ ბანკების მიერ ანტიკონკურენტული ეფექტის მქონე საქმიანობის/ქმედებების აკრძალვას; გ) შერწყმების კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესებას; დ) პრუდენციულ მარეგულირებელის და კონკურენციის სააგენტოსთან თანამშრომლობის კოორდინაციის მექანიზმების გაუმჯობესებას და ა.შ.

ამ რეკომენდაციების ეფექტიანი განხორციელება უზრუნველყოფს ეფექტიან და წარმატებულ საბანკო რეგულირებას ორიენტირებულს მიზნების ფართო სპექტრზე და არა მხოლოდ სტაბილურობაზე. ეფექტიანი აღსრულების მექანიზმების მქონე პრუდენციული მარეგულირებელი ჩარჩო გამყარებული პოლიტიკური თანადგომით, შეიძლება გახდეს საქართველოს საბანკო სისტემის ახალ განვითარების ეტაპზე გადაყვანისა და საქართველოს ეკონომიკური პროგრესის მთავარი სტიმული.

გამოქვეყნებულ ნაშრომთა სია

Botsvadze I. (2018), Pros and Cons of Banking Concentration, *The New Economist*, No 2-3 (50), pp. 37-45, ISSN 1512-4649.

Botsvadze I. (2014), Capital Adequacy and Risk Management Issues in Banking before, during and after 2007-2008 Financial Crises, *Journal of Business*, Vol. 3, No 1, pp. 15-23, ISSN 2233-369X.

Botsvadze I. (2013), Herd Behavior in Equity Markets -The International Evidence, *Journal of Business*, Vol. 2 No 2, pp. 41-46, ISSN 2233-369X.

Botsvadze I. (2013), Bond Swaps, *Journal of Business*, Vol. 2 No 1, pp. 59-65, ISSN 2233-369X.